ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 18 ივნისი, 2021 №109 (8638) ფასი: 60 თეთრი

## რატომ გადახტა ლევან გაჩეჩილაძე პოლიციის შენობიდან

„ამ ოჯახიდან ღამე აუტანელი ხმები გამოდიოდა, კლავდნენ თუ ახრჩობდნენ, არ ვიცი“




გვ.5

# „რა სჭირს მიხეილ სააკაშვილს ღლაპი გოგიტა ვაშაძის შესაცვლელი?!“



გვ.3

გიორგი ბარამიძე: „ოპოზიციის უმრავლესობის ზურგსუკან რაღაცების კეთება დაიწყეს, მარტო ვაშაძემ არა, სხვებმაც“



## „ჩემთვის გახარია სისხლის სამართლის დამნაშავეა!“

გვ.2





ზაზა ხატიაშვილი: „გადავწყვიტე, კენჭი ვიყარო თბილისის მერად. ხომ ამბობდნენ, არ გამოჩნდა სუფთა ადამიანიო. აი, გამოვჩნდი. ყველამ იცის, ადვოკატთა ასოციაცია როგორი ჩავიბარე და როგორი დავუტოვე სახელმწიფოს“

## „მოსამართლეთა დანიშვნის პროცესი უნდა შეჩერდეს“

ნაზი ჯანეზაშვილი: „დაუჯერებელია, რომ „ქართული ოცნება“ სასამართლო სისტემაში სიტუაციას რადიკალურად შეცვლის“



გვ.3



გვ.2

## 20 ივნისს ირაკლი კობახიძეს მოხსნიან?

## ოკუპირებული აფხაზეთი ტურისტული სეზონის ჩავარდნის წინაშე კიდევ ერთხელ დადგა

აფხაზეთში ბევრი უკანონო იარაღი დაგროვდა



გვ.4

## საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლონეთის რესპუბლიკის ეროვნული პოლიციის დელეგაცია ეწვია



გვ.5

ISSN 1987-9385

4 მეუფე იაკობმა ნინო ლომჯარიას ხატი აჩუქა

2 გივი მიქანაძე: „საარჩევნო უბნებზე ტექნიკური ხასიათის შეცდომები იქვეთება“

5 „დაცვამ ქუჩაში გამომაგდო და მერე სექსი შემომთავაზა“ რა ხდება ბათუმის თავშესაფარში

6 ევროკავშირი ბელარუსის წინააღმდეგ ახალ სანქციებზე შეთანხმდა

# „ჩემთვის გახარია სისხლის სამართლის დამნაშავეა!“

## ზაზა ხატიაშვილი: „გადავწყვიტე, კენჭი ვიყარო თბილისის მერად. ხომ ამბობდნენ, არ გამოჩნდა სუფთა ადამიანიო. აი, გამოვჩნდი. ყველამ იცის, ადვოკატთა ასოციაცია როგორი ჩავიბარე და როგორი დავუტოვე სახელმწიფოს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ზაზა ხატიაშვილი პასუხობს.**

***– როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? გუშინ ნაზი ჯანეზაშვილი აცხადებდა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო 100 მოსამართლეს დანიშნავს უვადოდ. რა ხდება, საერთოდ თავზე ხელი აიღეს თუ რა პროცესებთან გვაქვს საქმე?***

– ეს არის ივანიშვილის რეჟიმის მიერ მოსამართლეებისთვის მიცემული ყველანაირი უფლება, რომ რაც უნდათ, ის გააკეთონ. არაერთხელ მითქვამს თქვენთან ინტერვიუში, როცა მე ქუჩაში ვიდექი და ოპოზიციას მოვუწოდებდი, ქუჩაში გამოსულიყვნენ, ლევან მურუსიძეს უვადოდ ნიშნავენ, ერთი ოპოზიციური პარტია ქუჩაში არ გამოვიდა. ხალხმაც გამლანძღა, ამას რას აბრალებ ბატონ ბიძინისო. მოგვიანებით ხალხმა კი დაიჯერა, რომ მე მართალი ვიყავი, მაგრამ ბატონი ბიძინი იმ დროს მაინც ხელშეუხებელი იყო.

***– ახლა რა ხდება?***

– ახლა მინდა გადავიდეთ იმ საკითხზე, რომელზეც თქვენთან ინტერვიუში არ მისაუბრია. ეს ეხება საპრეზიდენტო არჩევნებს. საპრეზიდენტო არჩევნების დროს, მეორე ტურის წინ, გამოცვივდნენ, ოღონდ ახლა მოგვეცით ხმაო, მოისყიდეს ამომრჩეველი პირდაპირ ეთერში, ბანკის ვალები ჩამოაწერეს და, როგორც კი დამთავრდა საპრეზიდენტო არჩევნები და ინაუგურაცია ჩატარდა, ზუსტად ერთ კვირაში ლევან მურუსიძე უვადოდ დანიშნეს! ახლაც არჩევნები ძალიან მაგრად გაყალბდა და მე წინასწარ ვამბობდი, ბიძინას რომ გაუჭირდება, არჩევნებს რომ გააყალბებს და მერე ოქმებს გადაწერს, თქვენ რომ წახვალთ სასამართლოში, ბოლო ინსტანცია არის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული პალატა, ხოლო სააპელაციო ადმინისტრაციულ პალატაში მუდმივად დანიშნეს ლევან მურუსიძე. ოპოზიციას პირდაპირ ვუთხარი, რომ არც ერთი მათი სარჩელი არ იქნებოდა განხილული. მაშინაც არ დამიჯერეს პოლიტიკურმა პარტიებმა და რა პროცესი მივიღეთ? ვინც წავიდა სასამართლოში, არც ერთის სარჩელი არ განიხილა სასამართლომ.

***– დღეს რა ხდება, ზაზა?***

– დღეს ბიძინამ მადლობა გადაუხადა მოსამართლეებს იმისათვის, რომ მათ არც ერთი სარჩელი არ განიხილეს. ეს არის მადლობა მურუსიძე-ჩინჩალაძის გუნდისათვის, რომლებმაც არჩევნების გაყალბების ლეგიტიმაცია მისცეს ივანიშვილს. ოპოზიციას ვეუბნებოდი, რომ ასე იქნებოდა, მაგრამ არ დამიჯერეს. დღეს სასამართლოში ხდება უბინძურესი რაღაცები! მსგავსი რამ არასდროს ხდებოდა. საქართველოში იმ დონის კორუფციაა, რომელიც ისტორიას არ ახსოვს. ეს მარტო სასამართლოს არ ეხება, ყველა დონეზე ასე ხდება. ივანიშვილმა დაინახა, რომ ხალხს უკვე ეზიზღება. ამიტომ მას ყოველთვის დასჭირდება ლევან მურუსიძე და მიხეილ ჩინჩალაძე.

***– სასამართლოში ამაგრებს თავის კლანს?***

– ამიტომ ეუბნება სასამართლოს, რაც გინდათ, ქენითო. ეს ოპოზიციაც, რომ დაადო თავი და ყველა პარლამენტში შევიდა, ამით ხომ არჩევნები „გაუპრავეს“ ბიძინა ივანიშვილს?! რამდენჯერ ვუთხარი, იბრძოლეთ ჩემთან ერთად, თორემ არც ერთ ხმას არ გადაგითვლიან სასამართლოში-მეთქი. არავინ დამიდგა გვერდით. ერთი კახა კუკავა მედგა გვერდით, როცა ვაკეთებდი აქციებს. საერთოდ არ აინტერესებდათ ეს საკითხი. მიშელის დოკუმენტის მიხედვით ეს ხომ არ უნდა მომხდარიყო? ხომ არ უნდა დაენიშნათ მოსამართლეები? მაინც ნიშნავენ.





***– ყველა საერთაშორისო ინსტიტუტის რეკომენდაცია იყო, რომ ეს პროცესი შეეჩერებინათ. რატომ არ შეაჩერეს?***

– მეც მაგიტომ ვსვამ კითხვას, პარლამენტში რას აკეთებენ ეს დეპუტატები?! რომ შევიდნენ, ამით ხომ გაყალბებული არჩევნების ლეგიტიმაცია გააკეთეს?! ახლა ხომ მაინც დაინახეს, რომ ივანიშვილმა ყველა მოატყუა. მათ შორის, არ შეასრულეს მიშელის დოკუმენტი. უკან რატომ არ გამოდიან?!

***– ტკბილია დეპუტატის სავარძელი...***

– ჰოდა, თუ ტკბილია, სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, კენჭი ვიყარო თბილისის მერად. საერთოდ არც ვფიქრობდი და მივიღე ეს გადაწყვეტილება.

***– პოლიტიკაში მოდიხართ?***

– კი, მოვდივარ. კენჭს ვიყრი. როგორც დამოუკიდებელმა კანდიდატმა, მივიღე ეს გადაწყვეტილება.

***– კახა კუკავამ გააჟღერა ეს ინფორმაცია ჩვენთან ინტერვიუში, რომ თქვენს კანდიდატურას წარადგენდნენ არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიები.***

– კი, ასეა. დამირეკეს და მთხოვეს, რომ მიმეღო ეს გადაწყვეტილება. იცით, რა მითხრეს? შენ ხომ იბრძოდი, დღეს არ დარჩა ადამიანი, რომელიც იბრძოლებსო, იმიტომ რომ ყველა პარლამენტში გაიქცა. ცუდად მოიქცა ოპოზიცია. ისინი რომ არ შესულიყვნენ პარლამენტში, ივანიშვილს საშობაო გოჭივით შეწვავდნენ. აი, ღირსეული კაცი, შალვა ნათელაშვილი, არ შედის პარლამენტში. ეს ერთი კაციც რომ შეიყვანოს, ამისთვისაც როგორ იბრძვის და რა დღეშია. იმდენად რთულ სიტუაციაშია და, თქვენ წარმოიდგინეთ, დანარჩენი ოპოზიციაც რომ არ შესულიყო, რა ცუდად ჰქონდა საქმე ივანიშვილს. თავიდან გახსოვთ, ელისაშვილსა და გირჩს რა ამბები მოუწყვეს, რა არ ეძახეს დანარჩენმა ოპოზიციურმა პარტიებმა. ახლა ადგნენ და ეს მლანძღველებიც შეცვივდნენ პარლამენტში. სულ უნამუსოებსა და გარეწრებს ეძახდნენ. გამოდის, რომ თვითონაც ესენი არიან. ადგნენ და შეცვივდნენ.

***– დაგიჭერენ მხარს?***

– თქვენ ნახავთ ახლა, როგორ წავა ჩემი დაბლოკვა. დარწმუნებული ვარ, არც ერთი ტელევიზია არ დამსვამს ეთერში. მე ფული არა მაქვს, ვერც ბილბორდებს გამოვაკრავ და ვერც საეთერო დროს ვიყიდი. პირდაპირ გეუბნებით, მე თუ გამიჩნდა ფული, ტელევიზიაში მივიტანე რეკლამა და 50 ბილბორდი გავაკეთე, ჩათვალეთ, რომ ან სააკაშვილმა მიყიდა, ან ივანიშვილმა. დღეს სხვანაირად გამორიცხულია, რომ ან ტელევიზიებში დაგსვან, ან ბილბორდები აკეთო.

***– ანუ ან ერთი კაცის უნდა იყო, ან მეორის?***

– ან ერთის ხარ, ან მეორის. ხომ სულ იძახდნენ, რომ არ გამოჩნდა სუფთა ადამიანი, რომელსაც მართლა ხალხზე შესტკივა გული. აი, გამოვჩნდი. ყველამ იცის, ადვოკატთა ასოციაცია როგორი ჩავიბარე და როგორი დავუტოვე სახელმწიფოს. სახელმწიფო დავტოვე სახელმწიფოში.

***– რამდენად კონკურენტული გარემო იქნება? ამბობენ, რომ კალაძე აპირებს მეორედ კენჭისყრას.***

– იყაროს მერე. კალაძეს თუ ხმას მისცემენ, მაშინ ის თბილისელები უარეს დღეში არიან ჩასაგდებები, რა დღეშიც კალაძემ ჩააგდო. ნახევარი ქალაქი შიმშილობს და რანაირად უნდა მისცენ კალაძეს ხმა?!

***– გახარიაც შემოდის თამაშში.***

– არ მინდა, ახლა გახარიაზე ვილაპარაკო. ჩემთვის გახარია სისხლის სამართლის დამნაშავეა! მე გახარიაზე აზრი არ შემეცვლება, თუ ხორცის ნაჭერი ვერ გაიყო ბიძინა ივანიშვილთან და დასცხეს ერთმანეთს.

# 20 ივნისს ირაკლი კობახიძეს მოხსნიან?

## რიმა ბერიძეს ამის შესახებ ინფორმაცია არ აქვს

20 ივნისს მთავრობისა და უმრავლესობის ერთობლივი შეხვედრა გაიმართება, სადაც შესაძლოა, მოსალოდნელ საკადრო ცვლილებებზე იმსჯელონ. საუბარია, პარტიის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის შეცვლაზე. გავრცელებული ინფორმაციით, ის პოსტს დატოვებს და პარტიის თავმჯდომარე ირაკლი ღარიბაშვილი გახდება.

„ქართულ ოცნებაში“ ინფორმაციას არ ადასტურებენ და ამბობენ, რომ მოსალოდნელ ცვლილებასთან დაკავშირებით მათ არაფერი იციან. მათივე მტკიცებით, ერთობლივ შეხვედრაზე მხოლოდ ქვეყანაში არსებულ გამოწვევებზე უნდა იმსჯელონ.



– ნამდვილად არ ვადასტურებ. ამ წუთას ჩვენი პარტიის თავმჯდომარე ბატონი ირაკლი კობახიძეა. მე პირადად არანაირი ინფორმაცია არ გამაჩნია, რომ ბატონი ირაკლი იცვლება ბატონი ირაკლი ღარიბაშვილით.

ჩვენ ზეგ მთავრობასთან და უმრავლესობასთან ერთობლივი შეხვედრა გვაქვს, მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით, რაც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას.

იცით, რომ მე ვარ ქართული ოცნების დამაარსებელი, 2012 წლიდან ამ გუნდის წევრი, რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, მე ასეთ ინფორმაციას არ ვფლობ, – თქვა რიმა ბერიძემ.

ამასთან, 25 ივნისს ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტში ყოველწლიური შემაჯამებელ ანგარიში უნდა წარადგინოს. ოპოზიციაში ამბობენ, რომ მათ პრემიერთან მწვავე და კრიტიკული კითხვები ექნებათ, მათი ძირითადი კითხვები ძირითადად ეკონომიკას შეეხება.

# გივი მიქანაძე: „საარჩევნო უბნებზე ტექნიკური ხასიათის შეცდომები იკვეთება“

31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემსწავლელი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე გივი მიქანაძის შეფასებით, კომისიის მიერ შერჩეულ საარჩევნო უბნებზე ტექნიკური ხასიათის შეცდომები იკვეთება, რაც თავის მხრივ, გარკვეული უყურადღებობითა და უპასუხისმგებლობით არის გამოწვეული.




პარლამენტის საგამოძიებო კომისიამ 17 ივნისის სხდომაზე გურჯაანის №12 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და №09.12.03 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები გამოიკითხნენ.

გივი მიქანაძე აქცენტს იმაზე აკეთებს, რომ პარლამენტის საგამოძიებო კომისია გადათვლისა და გასაუბრების პროცესს ყველაზე უფრო პრობლემატურ საარჩევნო უბნებთან დაკავშირებით ახორციელებს.

– აქ რომ გარკვეული ცდომილებები იყო, ამის თაობაზე ინფორმირებული თავიდანვე ვიყავით და ამ უბნების პრობლემურობას სწორედ ეს განაპირობებდა. როდესაც გადათვლის პროცესში 20 საარჩევნო უბნის შედეგი ვნახეთ, აღმოჩნდა, რომ ძირითადად ტექნიკური ტიპის ხარვეზებზე იყო საუბარი, რასაც არჩევნების საბოლოო შედეგზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

ამასთან, კომისია იმ უბნებით დაინტერესდა, სადაც ასეთი ხარვეზები უფრო აშკარად იყო გამოკვეთილი და ახსნა-განმარტებების მისაღებად ვაკის, ნაძალადევის, გურჯაანისა და მარნეულის ოთხი უბანი შევარჩიეთ. გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან და №09.12.03 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა გარკვეულწილად უყურადღებობა, უპასუხისმგებლობა და ნაწილობრივ კომპეტენციის პრობლემა კომისიის წევრებს შორის, რამაც კონკრეტული შეცდომები გამოიწვია, რომლის აღმოფხვრა და ბალანსის გათანაბრება შესაძლებელი გახდა, როცა ჩვენ ეს უბნები პროფესიონალი მთვლელების მეშვეობით გადავითვალეთ, – განაცხადა გივი მიქანაძემ.

მან ხაზგასმით აღნიშნა ისიც, რომ თავად საარჩევნო კომისიის წევრები დაშვებულ შეცდომებს სტრესული გარემოთი ხსნიან, რაც პანდემიის პირობებიდან გამომდინარე მათი



ეკიპირებით და ასევე, არჩევნებთან დაკავშირებული ემოციური ფონით იყო გამოწვეული.

– რეალურად ჩვენ მივიღეთ სურათი, როცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაშვებული იყო შეცდომები, რასაც შედეგებზე არსებითი გავლენა ვერ ექნებოდა, – დასძინა გივი მიქანაძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიორგი ბარამიძე: „რა სჭირს მიხეილ სააკაშვილს ღლაპი გოგიტა ვაშაძის შესაცვლელი?!“

## „ოპოზიციის უმრავლესობის ზურგსუკან რაღაცების კეთება დაიწყეს, მარტო ვაშაძემ არა, სხვებმაც“

იაგო ნაცვლიშვილი

„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ მწვავედ გააკრიტიკა ნაციონალური მოძრაობა, კერძოდ კი მისი ლიდერი მიხეილ სააკაშვილი. ვაშაძის თქმით, სააკაშვილი პარტიის განვითარებას ხელს უშლის და ახალი ლიდერების გამოჩენის დამაბრკოლებელია. ვაშაძე იმასაც ამბობს, რომ ორი წელი არაფერში დახარჯა და ვერაფრით შეცვალა სააკაშვილის რევანშისტული მიდგომები.

რა პასუხები აქვთ ვაშაძის განცხადებებზე ნაციონალურ მოძრაობაში და რა ხდება საერთო ოპოზიციურ ფორმატზე მუშაობის თვალსაზრისით ვაშაძის განცხადებების ფონზე? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი ბარამიძე** საუბრობს.

***– ერთგვარი ფრონტის ხაზი გახსნა გიორგი ვაშაძემ ნაციონალური მოძრაობისა და კონკრეტულად მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ. რას იტყოდით ამაზე და ხომ არ გისაუბრიათ მასთან ურთიერთობების გასარკვევად?***

– არა, რაზე უნდა მესაუბრა?!

გიორგი ვაშაძე ფაქტობრივად „ქართული ოცნების“ ინტერესებს ემსახურება. ნაცვლად იმისა, რომ იმუშაოს ოპოზიციაზე, რომ თავისი ამომრჩეველი მოიზიდოს და მთლიანობაში გააძლიეროს ოპოზიციური ფლანგი, ეს ადამიანი თავს ესხმის მთავარი ოპოზიციური პარტიის მთავარ ლიდერს.

***– ასე ფიქრობთ, რომ ეს არის „ქართული ოცნების“ ინტერესების გატარება?***

– აბა რა არის?!

***– „ოცნებას“ რატომ აწყობს ის, რომ ვაშაძემ ასე ილაპარაკოს?***

– იმიტომ აწყობს, რომ ოპოზიციონერად აღქმული ადამიანი მთავარ ოპოზიციურ პარტიას ესხმოდეს თავს. აბა რა აწყობს „ქართულ ოცნებას“, თუ არა ეს?!

***– ის კონკრეტულად ამბობდა, 2 წელი შევალიე მუშაობას ნაცმოძრაობასთან და 2 წლის განმავლობაში მიხეილ სააკაშვილში ვერ შევცვალე რევანშისტული რიტორიკაო. ამაზე რა პასუხი გაქვთ?***

– რა კონკრეტულ ფაქტებზე საუბრობდა?! რა სჭირს მიხეილ სააკაშვილს ღლაპი გოგიტა ვაშაძის შესაცვლელი?! გოგიტა ვაშაძის შესაცვლელია სააკაშვილი?! თვითონ თუ ვერ ხვდება, რამდენად სულელურ მდგომარეობაში იყენებს თავს, იმედია, რომ მერე მაინც მიხვდება, როდესაც საზოგადოების რეაქციას გაიგებს.



***– ამ ფონზე ურთიერთობების გაგრძელება როგორ წარმოგიდგენიათ?***

– ჩვენ არ გვაინტერესებს, ვინ რას ლაპარაკობს ჩვენზე. ჩვენ გვაინტერესებს, ჩვენი ქვეყანა რა მდგომარეობაშია და რა მდგომარეობაში იქნება შემოდგომაზე დანიშნული არჩევნების შემდეგ, რომელიც არ არის მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის ვინაობის განმსაზღვრელი, არამედ ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების ყოფნა-არყოფნის საკითხს განსაზღვრავს. მხედველობაში მაქვს ის რეფერენდუმი, რომელიც ახლავს ამ არჩევნებს.



***– ანუ თვალს დახუჭავთ ვაშაძის ამ განცხადებებზე თუ კოორდინაციულ მუშაობაზე შეთანხმდებით?***

– თვალს დავხუჭავთ რას ნიშნავს?! აგერ ვპასუხობთ, რაც მას ეკუთვნის, მაგრამ ვაშაძეზე ორიენტირებასა და მასზე ყურადღების გამახვილებას არ ვაპირებთ. საერთო ოპოზიციურ ფორმატში ვინც ჩაეწერება და საერთო საქმეს გააკეთებს, ჩვენ იმ საერთო საქმეზე ვითანამშრომლებთ.

***– მათ შორის ვაშაძესთანაც?***

– არ ვიცი, მათ შორის რამდენად იქნება ვაშაძე, იმ განცხადებებიდან გამომდინარე, რომლებსაც ის აკეთებს. როდესაც ადამიანი განცხადებას აკეთებს, რომ თურმე მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერი რაც შეიძლება ნაკლებად უნდა იყოს პოლიტიკაში და თურმე ეს მიაჩნია მას პუტინისტური რეჟიმის დამარცხების ფორმულად, ეს იმდენად აბსურდულად ჟღერს, რომ ამაზე მეტი აბსურდი ძნელი წარმოსადგენია. რამდენად ჩაეწერება ეს ადამიანი ამ ფორმატში, ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია. არ ვაპირებთ ვაშაძეზე ფიქრსა და ორიენტაციას, ის რას იზამს და რას არ იზამს. ეს არ გვაინტერესებს. ეს არ არის ჩვენი ამოცანა. ეს ადამიანი ჩვენთვის საინტერესო არ არის.

***– სოციალურ ქსელში გააზიარეთ დამონტაჟებული ფოტო, სადაც ღარიბაშვილი ხსნის რაღაცას და მას ერთ მხარეს უდგას ვაშაძე, მეორე მხარეს – ელისაშვილი. ფოტოს მინაწერი იყო „ოცნების ფილიალების გახსნა“.***

– ეს ფოტო კი არა, ნუგზარ მეტრეველის პოლიტიკური სკეტჩია.

***– რაც არ უნდა იყოს, იკითხება პოლიტიკური ქვეტექსტი. ასე ფიქრობთ, რომ „ოცნების“ ფილიალები არიან ვაშაძეც და ელისაშვილიც?***

– ეს არის პოლიტიკური სატირა და ძალიან ეხმიანება იმ ვითარებას, რომელიც არის.

***– „მთავარი არხის“ ეთერში განაცხადეთ, რომ გიორგი ვაშაძემ დაშალა ოპოზიციის ერთობა. რას გულისხმობდით?***

– მარტო გიორგი ვაშაძემ არა, სხვებმაც. ამაზე არაერთხელ გვისაუბრია – როდესაც ჯერ თანამშრომლობ, ერთად გეგმავთ რაღაცებს და მერე უცბად რაღაცა ნაწილი მოსწყდება ძირითად გუნდს და ოპოზიციური პარტიების უმრავლესობის ზურგსუკან რაღაცების კეთებას დაიწყებს, კითხვები გაჩნდება.

***– რა დაიწყეს ზურგსუკან?***

– რაც დაიწყეს. შარლ მიშელის დოკუმენტზე მუშაობა.

***– დოკუმენტზე არ იცოდით?***

– დოკუმენტზე რომ მუშაობდნენ, ვიცოდით, მაგრამ, რას მუშაობდნენ და როგორ, ეს, ცხადია, არ ვიცოდით და მერე გახდა ცნობილი.

***– ანუ თქვენ არ იცოდით და თქვენგან მალულად ჩუმად ხვდებოდნენ დასავლელ პარტნიორებს, რომ ამ დოკუმენტში ჩაწერილიყო ის, რაც ჩაიწერა?***

– რა თქმა უნდა. ეს ახალი ამბავია თქვენთვის?

***– მათგან არ მომისმენია ეს.***

– არაერთხელ თქმულა. ჩვენ უამრავჯერ გვაქვს ნათქვამი. თავად ხომ არ იტყოდნენ, ზურგსუკან რაღაცებს ვხლართავდითო?!

***– ამას დადასტურებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ამბობთ თუ მხოლოდ ვარაუდია?***

– ხელმოწერის მერე თავადაც აღიარეს, ამ დოკუმენტის თითოეულ პწკარში დიდი შრომა გვაქვს ჩადებულიო. ვაშაძისგანაც მაქვს ეს მოსმენილი.

***– თუმცა მე ეს გავიგე ისე, რომ ერთიან ფორმატში მუშაობა იგულისხმებოდა პოზიცია-ოპოზიციისა და პარტნიორების ჩართულობით. თქვენ სხვაგვარად გაგიგიათ.***

– მე ისე გავიგე, როგორც არის. სხვამ გაიგო სხვანაირად.

***– რაც შეეხება ოპოზიციის მოქმედებებს, ამაზე რას იტყვით, როგორ ფორმატს შესთავაზებთ საზოგადოებას იმისთვის, რომ ერთგვარი დაბნეულობა, რომელიც დღეს არსებობს, დაასრულოთ?***

– ეს გამოჩნდება. ამაზე როგორ ვიტყვი ახლა ჩამოყალიბებულ ფორმატს?!

***– გეყოლებათ საერთო კანდიდატები?***

– ეს ადამიანები თვითონ აცხადებენ... მე გოგიტა ვაშაძე ხომ არ ვარ, რომელსაც 3%-ზე ნაკლები აქვს და ამბობს, პრემიერ-მინისტრი გავხდებიო?! გოგიტა ვაშაძე ამბობს, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატებს მხარს არ დავუჭეროო და მე როგორ შეიძლება გითხრათ, რომ საერთო კანდიდატები გვეყოლება?!

***– გასაგებია, რომ ვაშაძე შეიძლება არ იყოს, მაგრამ სხვა ოპოზიციონერებიც ხომ არსებობენ?***

– საერთო ოპოზიციურ ერთობაზე ხომ მეკითხებით და ამ საუბრით ეს არ მოხდება. დანარჩენი, ვისთანაც ვითანამშრომლებთ, გამოჩნდება. ეს არ არის საჩქარო. როდესაც მივუახლოვდებით არჩევნებს, ჩამოყალიბდება პოზიციები.

***– ოპოზიციაში ჯერ არ საუბრობთ?***

– საუბრები ერთია, მაგრამ პოზიციების ჩამოყალიბება – მეორე. გარკვეული საუბრები ყოველთვის არის სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიასთან.

***– ინდივიდუალურ შეხვედრებს გულისხმობთ?***

– მე ჩვეულებრივად გელაპარაკებით, თქვენ სხვანაირად იგებთ და ისევ მეკითხებით.

***– მინდა დავაზუსტო, ერთიან ფორმატში ხდება თუ ინდივიდუალურად ელაპარაკებით?***

– ამწუთას შეხვედრები რომ არ არის, ხომ იცით და ამიტომ გასაგებია, რომ ერთიან ფორმატში ლაპარაკი არ არის. არავინ არასდროს მალავს ინფორმაციას ერთიანი შეხვედრების თაობაზე. როდესაც ვამბობ, რომ სხვადასხვა პარტია ერთმანეთს ელაპარაკება, ლოგიკურად გასაგებია, რომ ინდივიდუალური შეხვედრები იგულისხმება.

ეს არ არის საჩქარო და უფრო ახლოს არჩევნებთან მეტად გამოკვეთილი იქნება. ჯერ ადრეა ამაზე საუბარი.

# „მოსამართლეთა დანიშვნის პროცესი უნდა შეჩერდეს“

## ნაზი ჯანეზაშვილი: „დაუჯერებელია, რომ „ქართული ოცნება“ სასამართლო სისტემაში სიტუაციას რადიკალურად შეცვლის“

ნათია ხურცილავა

**იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი ნაზი ჯანეზაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში უზენაეს სასამართლოში მოსამართლეობის ცხრა კანდიდატის დანიშვნის პროცესის შეჩერებაზე საუბრობს.**

***– ქალბატონო ნაზი, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ პროცესი განაახლა და მოსამართლეობის ცხრა კანდიდატს უყარა კენჭი. გიორგი მიქაუტაძე აცხადებს, რომ კანონი არ დარღვეულა. პირიქით, თუ კანდიდატებს არ წარვადგენდით, მაშინ დაირღვეოდა კანონი. რას უპასუხებთ?***

– პროცესი, რომელიც უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა შერჩევის საკითხს ეხება, სერიოზულ კითხვებს აჩენს. პროცესი პროცედურული დარღვევებით მიმდინარეობდა პირველ რიგში ნეპოტიზმის გამო.

მეორე, პროცესი არაორდინარული და პოლიტიკურ მოვლენებთან თანხვედრილი იყო. ეს ყველაფერი დაიწყო რვა თვის წინ. სანამ დასკვნით ეტაპზე არ გადავიდოდა, შეთანხმება არ გაფორმდა, მანამდე პროცესი არ დაჩქარდა და ჩვეულ რეჟიმში არ წარიმართა. მთელი ეს პროცესი პოლიტიკურ მოვლენებთან სინქრონში მიმდინარეობდა. ასევე სახეზე იყო სხვა ტიპის ხარვეზები, რომლის გამოც მე ღიად ვამბობ, რომ ეს პროცესი უნდა შეჩერდეს.

ასევე, ყველამ იცის შარლ მიშელის დოკუმენტი, სადაც ღიად წერია, რომ მოსამართლეების შერჩევა-დანიშვნის პროცესი უნდა შეჩერებულიყო. იყო ამერიკისა და ევროკავშირის ელჩის განცხადებაც, რომელიც იმავე მოთხოვნას ეხებოდა – მოსამართლეების დანიშვნის პროცესი უნდა შეჩერებულიყო. ამ მოთხოვნის იდეა მხოლოდ ერთადერთია, ჩვენს სასამართლო სისტემას ფუნდამენტური რეფორმა სჭირდება. რეფორმის გარეშე სასამართლოს დაკომპლექტება, ბუნებრივია, ზიანის მომტანია სამომავლოდ. ეს ზიანი შეიძლება ძალიან დიდხანს გაგრძელდეს, ისე, რომ ვერ გამოსწორდეს.

***– შარლ მიშელის დოკუმენტის ერთი პუნქტი სასამართლო სისტემის რეფორმას ეხება. ამის ნაწილად განიხილავს მას ხელისუფლება?***

– ხელისუფლებას რეფორმა უნდა დაეწყო, მაგრამ ეს არ არის რეფორმა. პირიქით.

***– კონკრეტულ ადამიანებზე რა შეგიძლიათ გვითხრათ, რომლებიც არიან წარდგენილი?***

– მათი უმრავლესობა კლანთან არის აფილირებული. მათ შორის შემიძლია, კონკრეტული ადამიანები დავასახელო: რევაზ ნადარაია, ლევან თევზაძე და სხვები, რომლებიც პირდაპირ კლანთან არიან აფილირებულნი. ეს ის ხალხია, რომლებიც სისტემის გაჯანსაღებისთვის არ არიან საკმარისი. ამ ცხრაკაციან სიაში არ არის არც ერთი კადრი, რომელიც გარედან არის მოსული. ყველა სასამართლო სისტემაში მოქმედი მოსამართლეა.

მთელი ეს შერჩევის პროცესი პირდაპირ



მიუთითებს სისტემის დახურულობაზე.

***– რა მექანიზმით უნდა შეჩერდეს ეს პროცესი? თუ ფიქრობთ, რომ ჩაფიქრებულს ბოლომდე მიიყვანს ხელისუფლება, მიუხედავად საერთაშორისო პარტნიორების არაერთი შენიშვნისა?***

– ძალიან მიჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. რა მექანიზმით უნდა შეჩერდეს ეს პროცესი, ვერ გეტყვით. თუმცა, რა თქმა უნდა, სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია. როდესაც ეს პროცესი პარლამენტში გადაინაცვლებს და იქ მივა კანდიდატების განაცხადი, დეპუტატებს შეუძლიათ, კანდიდატების დამტკიცების პროცესი შეაჩერონ. თუმცა ძალიან მიჭირს იმის დაჯერება, რომ ეს შეიძლება რეალობა იყოს, რადგან ვხედავთ პოლიტიკური კლასის ძალიან სერიოზულ პოლიტიკურ მხარდაჭერას კლანის მიმართ. ამიტომ არ მაქვს მოლოდინი, რომ ისინი განსხვავებულ ნაბიჯს გადადგამენ.

ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ „ქართულ ოცნებას“ შერჩა რაიმე მიზანი, სასამართლო სისტემაში სიტუაცია რადიკალურად შეცვალოს. ეს წარმოუდგენელია, დაუჯერებელია.

***– რამდენად არის არგუმენტი, რომ სისტემას არ ჰყავს კადრები, რომ საქმეები თაროზეა შემოდებული და სამუშაოა შესასრულებელი?***

– დიახ, ამ ქვეყანას სჭირდება მოსამართლეები, მაგრამ კარგი მოსამართლეები და არა კლანი და კლანის წევრები. ეს არის განსხვავება. კლანი გინდ ყოფილა, გინდ არა – პირიქით. ჩატარდა კვლევები, სადაც კარგად ჩანს, რომ მოსამართლეები, რომლებიც გავლენის ჯგუფში მოიაზრებიან, ფაქტობრივად სამოსამართლო საქმიანობას არ ახორციელებენ.

***– გაქვთ იმედი ან მოლოდინი, რომ რეფორმა ჩატარდება და ეს პროცესი გამოსწორდება?***

– ერთადერთი, უნდა ჩატარდეს ფუნდამენტური რეფორმა. ამის გარეშე გამოსწორებაზე საუბარი შეუძლებელია.



**შევიძენ**

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,

ნახატ სურათებს,

ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

# ოკუპირებული აფხაზეთი ტურისტული სეზონის ჩავარდნის წინაშე კიდევ ერთხელ დადგა

## ასლან ბჟანიამ ტურისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამო მოწვეულ თათბირზე მკაცრი დავალებები გასცა

მარიამ მჭედლიშვილი

ტურისტული სეზონი ოკუპირებულ აფხაზეთში დაწყებულია. წელს დამსვენებლების შემოდინებას ნაკლებად აბრკოლებს კოვიდ 19. მიუხედავად ამისა, აფხაზეთი კიდევ ერთხელ დადგა ტურისტული სეზონის ჩავარდნის წინაშე.

ამის მიზეზი გახდა პისტოლეტით შეიარაღებული აფხაზეთის მკვიდრის თავდასხმა დამსვენებლებზე. ინციდენტის შედეგად დაიჭრა ორი ჩამოსული და თვითონ თავდამსხმელი. თავდამსხმელი სოხუმის საავადმყოფოში იმყოფება, დაჭრილი რუსეთის მოქალაქეები კი პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემდეგ ჰოსპიტალიზაციის მიზნით რუსეთში გადაიყვანეს.



აფხაზეთში ბევრი უკანონო იარაღი დაგროვდა

შემთხვევამ აფხაზეთის ახლანდელი ადმინისტრაცია და მოსახლეობა საგონებელში ჩააგდო. კრიმინალი და ბათქაბუთქი ოკუპირებულ ტერიტორიაზე არავის უკვირს. აფხაზეთში ის აფიქრებთ, რომ ამ ინციდენტს შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს.

რამდენიმე წლის წინ აფხაზეთის მკვიდრმა ძარცვისას მოკლა რუსი დამსვენებელი. ამის შემდეგ როსტურიზმმა საკუთარი მოსახლეობა გააფრთხილა, რომ აფხაზეთში დასვენება და მოგზაურობა სახიფათოა. იმ ზაფხულს ჩამოსული რუსების რიცხვი აფხაზეთში მკვეთრად შემცირდა.

აფხაზეთის შემოსავლები დიდწილად საკურორტო სფეროზეა დამოკიდებული. შარშან პანდემიის გამო ოკუპირებული რეგიონის ეკონომიკამ და მოსახლეობამ დიდი ზარალი განიცადა. თუ დამსვენებლები წელსაც არ იქნებიან, აფხაზეთს საკუთარი შემოსავლები საერთოდ არ ექნება და მთლიანად რუსეთის კმაყოფაზე აღმოჩნდება.

მარჩენალი რუსეთი კი ცხინვალის რეგიონს უფრო სწყალობს. აფხაზეთის სუბსიდირება უფრო ნაკლებად და დაგვიანებით ხდება.

ინციდენტით შეშფოთებულმა დე ფაქტო პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ მომხდარ ფაქტს უწოდა „დანაშაული რესპუბლიკის წინააღმდეგ“.

სპეციალურად გამართულ თათბირზე, რომელსაც, ძალოვნების გარდა, ესწრებოდნენ პრემიერი ანქვაბი და უშიშროების საბჭოს მდივანი შამბა, ბჟანიამ სამართალდამცავ ორგანოებს დაავალა დამნაშავის დასჯა კანონის მთელი სიმკაცრით. მათვე მიეთითათ, გააძლიერონ ზომები ტურისტების უსაფრთხოების დასაცავად. შსს ამოწმებს, აქვთ თუ არა ტურისტულ ობიექტებს უსაფრთხოების ეფექტური სამსახურები და სათვალთვალო მოწყობილობები. გაგრისა და ბიჭვინთის მილიციის განყოფილებების ხელმძღვანელებს ეცნობათ, რომ პირადად აგებენ პასუხს კრიმინოგენურ სიტუაციაზე.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოამზადა პროექტი, რომელიც ამკაცრებს სასჯელს იარაღის უკანონო შენახვისათვის.

აღმოჩნდა, რომ ლიხნის მცხოვრები, რომელმაც პისტოლეტით დაჭრა ტურისტები, ადრეც არის მხილებული იარაღის უკანონოდ შენახვასა და სხვა დანაშაულებში.

ინციდენტი ბიჭვინთის პანსიონ „ბზის ხეივნის“ რესტორანში მოხდა. ჩამოსული ტურისტები, სამი ქალი და ორი კაცი,



ერთად ვახშმობდნენ. ლიხნელმა ქალების შევიწროება დაიწყო. ამას კამათი მოჰყვა. კამათის დროს კაცმა პისტოლეტით სროლა ატეხა. ერთ ტურისტს 6 ჭრილობა აქვს მიყენებული.

ოკუპირებულ აფხაზეთში ადმინისტრაციები იცვლება, თუმცა ზოგიერთი პრობლემა უცვლელია. ერთ-ერთი მათგანია კრიმინალი.

აფხაზეთის საზოგადოება იმასაც აცნობიერებს, რომ რუსეთის მიერ აღიარებული დამოუკიდებლობა ფიქციაა და აფხაზეთი სახელმწიფო არ არის.

ანალიტიკოსი ნადეჟდა ბენედიქტოვა იმასაც აღნიშნავს, რომ აფხაზეთის პოლიტიკური ელიტა და მოსახლეობა მზად არ არის თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისათვის. ამას ადასტურებს აფხაზეთში გავრცელებული ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია – ერთი მხრივ, საბჭოთა ინერციით, ყველას ყველაფერი სახელმწიფოსგან უნდა, მეორე მხრივ კი სრული ანარქიაა გადასახადებისა და კრედიტების დაფარვის კუთხით.

როგორც ჩანს, ამას ემატება გაღიზიანება „მარჩენალი“ რუსეთის მიმართ.

# მიხეილ სარჯველაძე: „ოპოზიციას შეიძლება ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი გადაეცეს“

– იმთავითვე, როცა შარლ მიშელის შეთანხმებაში პარლამენტში ძალაუფლების განაწილების თაობაზე ჩაიწერა, არსებობს დაშვება, რომ ერთ-ერთი კომიტეტი, რომელიც ოპოზიციას შეიძლება გადაეცეს, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტია – ამ დაშვებას ვითვალისწინებ.

ასე უპასუხა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძემ კითხვას, მოუწევს თუ არა მას თანამდებობის ოპოზიციისათვის დათმობა.

– როდესაც ეს დებულება შარლ მიშელის დოკუმენტში აისახა, არა მგონია, ამის განმაპირობებელი ის იდეა ყოფილიყო, რომ აღნიშნულ კომიტეტებს ოპოზიცია უკეთესად უხელმძღვანელებს. არც ერთ შემთხვევაში ასეთი მოსაზრება არა მაქვს. ამის გაკეთება სულ სხვა რამის გამო იყო საჭირო და მიზანშეწონილი, თუმცა არ მგონია, რომ ეს რაიმე ფორმით შეიძლება უკეთ მართვის პერსპექტივებთან დაკავშირებით, – განაცხადა სარჯველაძემ.

როგორც სარჯველაძემ ამ კონტექსტში განმარტა, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ფუნქცია არ არის ის, რომ სახალხო დამცველის ფუნქციების მოზიარე გახდეს. დეპუტატის თქმით, მან უნდა აწარმოოს კანონშემოქმედებითი საქმიანობა და საპარლამენტო კონტროლი.

„ქართული ოცნების“ უმრავლესობამ საპარლამენტო ოპოზიციას, შესაძლოა, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტების თავმჯდომარეობა შესთავაზოს. მიშელის შეთანხმების დოკუმენტში დასახელებული პარლამენტის ხუთი კომიტეტიდან „ქართული ოცნება“ ოპოზიციისთვის სწორედ აღნიშნული ორი კომიტეტის ხელმძღვანელის პოსტის დათმობას გეგმავს.

# სექტემბრიდან ნოვავაქსი და ჯონსონი და ჯონსონი შემოვა

– გვაქვს მოლოდინი, რომ სექტემბრიდან ჩვენი ვაქცინების არჩევანს „ნოვავაქსი“ და „ჯონსონი და ჯონსონი“ დაემატება.

ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე თამარ გაბუნიამ კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესზე საუბრისას განაცხადა.

გაბუნიას თქმით, იმისათვის რომ მოზრდილი მოსახლეობის 60% იყოს ვაქცინირებული, ქვეყანას 4 მილიონი ვაქცინის დოზა სჭირდება.

– დღევანდელი მონაცემებით, 1 აცრა ჩატარებული აქვს 147.000 ადამიანს, ორივე ვაქცინით კი 75.000 ადამიანია აცრილი. ეს, რა თქმა უნდა, მცირე ნაწილია იმ სასურველი სამიზნის, რაც წლის ბოლომდე გვინდა იქნეს მიღწეული. 18 წლის ზემოთ ასაკის მოსახლეობის აცრის თვალსაზრისით ეს მაჩვენებელი 5%-ს უახლოვდება და ვფიქრობთ, რომ ივლისიდან ვაქცინაციის პროგრამაში სერიოზული გარდატეხა დაიწყება იმ კუთხით, რომ ვაქცინაციის პროგრამის გაშლასა და ვაქცინაციის ტემპების გაფართოებას შევძლებთ. ზოგადად ჩვენ გვჭირდება 4 მილიონამდე ვაქცინის დოზა, რომ მოზრდილი მოსახლეობის 60% ვაქცინირებული იყოს. ამ დოზების რაოდენობის უდიდესი ნაწილი უკვე დაგეგმილი და განსაზღვრულია, მოწოდების ვადები ზუსტდება და ვფიქრობთ, რომ ძალიან მალე აქტიური კამპანიის გახსნა გვექნება როგორც „სინოვაკის“, „სინოფარმის“, „ასტრაზენეკას“, „ფაიზერისა“ და შედარებით უფრო მოგვიანებით, სექტემბრიდან გვაქვს მოლოდინი, რომ „ნოვავაქსი“ და „ჯონსონი და ჯონსონი“ დაემატება ჩვენს არჩევანს, რომლებიც „კოვაქსის“ პლატფორმიდან შეგვიძლია მივიღოთ, – განაცხადა გაბუნიამ.

# ხათუნა სამნიძე: „ქართული ოცნება“ „კლანის“ შენარჩუნებისთვის ყველაფერს გააკეთებს“

„რესპუბლიკური პარტიის“ თავმჯდომარე ხათუნა სამნიძე აცხადებს, რომ „ქართული ოცნება“ სასამართლოში ე.წ. კლანის შენარჩუნებისთვის ყველაფერს გააკეთებს. ამის შესახებ ხათუნა სამნიძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემა „რეზიუმეში“ ისაუბრა.

როგორც სამნიძე ამბობს, ოპოზიციის ერთიანობა მნიშვნელოვანია, რათა „კლანმა“ ვერ შეძლოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნა.

– „ქართული ოცნება“ ამას არ დათმობს – მაგრამ უახლოეს წარსულს გადავხედოთ, ეს არავის შერჩენია. არავის ეს თავის „კლანად“ არ შეუნარჩუნებია. პირველი, ვინც მომავალი ხელისუფლების მხარეს გადავა და მოემსახურება, „კლანი“ იქნება. ეს არ გვინდა, რომ მოხდეს, ამიტომ, ვიდრე შესაძლებლობა გვაქვს, რომ შარლ მიშელის დოკუმენტი, რომელიც ყველა საერთაშორისო დოკუმენტში აღინიშნა, რომ უნდა შესრულდეს, პროცესს ყველა ჩვენი პარტნიორი აკვირდება, გავაკეთოთ ყველაფერი, ოპოზიციის ერთობა ამ ნაწილში გადამწყვეტია, რომ „კლანმა“ ვერ შეძლოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნა, – განაცხადა სამნიძემ.

მან შეცდომა უწოდა შარლ მიშელის მედიაციით მიღებულ დოკუმენტზე ხელის არმოწერასთან დაკავშირებით ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გადაწყვეტილებას.

სამნიძე იმედს იტოვებს, რომ პარტია გადაწყვეტილებას გადახედავს და დოკუმენტს შეუერთდება.

# ეკატერინე ტიკარაძე: „რადგან აცრილი ვიყავი, ჩემი დაავადება მსუბუქად მიმდინარეობდა“



ჯანდაცვის მინისტრი ეკატერინე ტიკარაძე კორონავირუსით ინფიცირების პერიოდს იხსენებს და აცხადებს, რომ მის შემთხვევაში დაავადება მსუბუქად მიმდინარეობდა, რის გამოც ექიმებმა მისი საავადმყოფოში გადაყვანა საჭიროდ არ ჩათვალეს.

– ჩემს შემთხვევაში დაავადება მარტივად მიმდინარეობდა. შესაბამისად, ისევ ძველი ენერგიითა და მეტი პოზიტივით ვუბრუნდები სამსახურს. არანაირი გართულება არ ყოფილა. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, რომ დროულად მივმართოთ ექიმს და შევასრულოთ მისი ყველა მითითება. აუცილებელია მოძრაობა, დიდი რაოდენობით სითხის მიღება და, რაც მთავარია, ვაქცინაცია. სწორედ ვაქცინაცია უზრუნველყოფს მსუბუქ მიმდინარეობას.

მნიშვნელოვანია, რომ ყველანი ვიყოთ აცრილები. ვაქცინა არ გვიცავს ინფიცირებისგან, მაგრამ გვიცავს გართულებებისა და ჰოსპიტალიზაციისგან. მე სახლში ვიყავი, მეც ვთვლიდი და ექიმებიც დამეთანხმნენ, რომ კლინიკაში გადასაყვანი არ ვიყავი. ვიცავდი ყველა პირობას, რაც უნდა დაიცვას კოვიდპაციენტმა. ალბათ ექიმები იტყვიან, რამდენად მორჩილი პაციენტი ვიყავი.

ემოციურად ძალიან რთული იყო, ვინაიდან ინფიცირებამდე ზედმიწევნით ვიცავდი ყველა მითითებას, მაგრამ ერთხელ მოვხვდი ხალხმრავალ ადგილას, სადაც არ ვიყავი საკმარისად დაცული და სწორედ ამ ერთმა შემთხვევამ იქონია გადამწყვეტი მნიშვნელობა, – განაცხადა ტიკარაძემ.

# მეუფე იაკობმა ნინო ლომჯარიას ხატი აჩუქა



3-წლიანი პაუზის შემდეგ ომბუდსმენისთვის ნინოწმინდის პანსიონის ჩაკეტილი კარი გაიღება. ამის შესახებ ბოდბელმა მთავარეპისკოპოსმა 17 ივნისს ნინო ლომჯარიასთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა და კეთილგანწყობის ნიშნად სახალხო დამცველს საჩუქრად წმინდა ნინოს ხატი გადასცა.

ამ დღეს ის იშვიათი შემთხვევა იყო, როდესაც წმინდა სინოდის წევრს სახალხო დამცველის ინსტიტუტი არ გაუკრიტიკებია. მან აჟიოტაჟისთვის მადლობაც კი გადაიხადა და თქვა, რომ პანსიონიდან დეტალების გარკვევის გარეშე გაუშვებს ყველას, ვისი მხრიდან ძალადობაზეც ბავშვები ისაუბრებენ.

ბენეფიციარებთან შეხვედრამდე პანსიონში მუშაობას სოცმუშაკები განაგრძობენ, შეისწავლიან ბავშვების საჭიროებას და დადებენ დასკვნასაც, რა ფორმით და სად იქნებიან აღსაზრდელები გადანაწილებული.

მცირე საოჯახო სახლების თემა შეხვედრაზეც მნიშვნელოვანი საკითხი იყო. საპატრიარქოს წარმომადგენლები და სახალხო დამცველიც თანხმდებიან, რომ ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე და უკეთესი პირობების შესაქმნელად ეს ყველაზე სწორი ნაბიჯი იქნება.

შეხვედრის დასრულების შემდეგ მხარეებმა არ გამორიცხეს, რომ ნინოწმინდის პანსიონის ბენეფიციარების ინტერესებიდან გამომდინარე, სხვადასხვა საკითხზე მსგავსი შეხვედრა უახლოეს მომავალში კიდევ შედგეს.

# თბილისის გაფორმების ეკონომიკურ ზონებში არადეკლარირებული საქონელი გამოავლინეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გაფორმების ეკონომიკურ ზონებში „თბილისი“ და „თბილისი 2“ სამართალდარღვევის ფაქტები გამოვლინდა. ამის შესახებ ინფორმაციას შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

უწყების ინფორმაციით, 2 კომპანიის მიერ, რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციებს, რისკების მართვის პროგრამის ფარგლებში, წითელი დერეფანი განესაზღვრათ და ტვირთი დათვალიერებას დაექვემდებარა.

„ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის მიერ, დეკლარაციის, თანმხლები დოკუმენტებისა და საქონლის ფიზიკური დათვალიერება განხორციელდა. დეკლარირებულ და საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე რეალურად შემოტანილ საქონელს შორის შეუსაბამობამ საერთო ჯამში – 68.886,54 ლარი შეადგინა. საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ერთ-ერთ გადასახადის გადამხდელს, სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა 11.384 ლარის ოდენობით შეეფარდა, ხოლო მეორე გადამხდელის მიმართ (დეკლარირებულ საქონელს შორის შეუსაბამობა – 57.502,54 ლარის ოდენობით დაფიქსირდა), საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

# რატომ გადახტა ლევან გაჩეჩილაძე პოლიციის შენობიდან

## „ამ ოჯახიდან ღამე აუტანელი ხმები გამოდიოდა, კლავდნენ თუ ახრჩობდნენ, არ ვიცი“

16 ივნისს, ღამით, წერეთლის გამზირზე მდებარე პოლიციის განყოფილებიდან 46 წლის ლევან გაჩეჩილაძე გადახტა.

მას ყოფილმა ცოლმა ძალადობის გამო უჩივლა. როგორც ირკვევა, ყოფილი ცოლი საზღვარგარეთ ცხოვრობდა და საქართველოში რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა.

მამაკაცის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა.

ექიმის თქმით, პაციენტს აქვს გულ-მკერდის დახურული ტრავმა, გატეხილი აქვს ნეკნები, ასევე – ცხვირი და იდაყვი. მას დაზიანებული აქვს სხეულის უმეტესი ნაწილი.

პაციენტი აპარატულ სუნთქვაზეა გადაყვანილი.

ლევან გაჩეჩილაძის მეზობელი დეტალებზე საუბრობს.

– აქ პირველივე დღიდან ვცხოვრობ. სულ ჩხუბის ხმა გამოდიოდა, მგონი, მეუღლეს სცემდა. სახეზე არც ქმარი ვიცი და არც ის გოგო, მაგრამ ძალიან შემაწუხებელი იყო... მერე, მგონი, გადავიდნენ. ორი თუ სამი წლის წინ იყო ეს ფაქტები, ღამე აუტანელი ხმა მოდიოდა, კლავდნენ თუ ახრჩობდნენ, ვინ ვის ღალატობდა თუ რატომ იყო ეს, არ ვიცი. ტირილის ხმა ისმოდა, ვიღაცა ვიღაცას ურტყამდა. არ ვიცი, ეს ბინა ნაქირავები ჰქონდათ თუ არა, მერე ყველამ გაიგო კორპუსში ეს ამბავი, ყველამ იცოდა, რომ ვიღაცას სადღაც კლავდნენ და აწამებდნენ, რომელიღაც სართულზე. თავიდან ვერ ვიგებდი, ხმა ქვემოთა სართულიდან ამოდიოდა თუ ზემოდან ჩამოდიოდა, მერე მეზობელმა თქვა, ქვედა სართულზე არიანო. სამსახურიდან მოსვლის შემდეგ, ღამე მესმოდა ეს რაღაცები.

მგონი, უბნის ინსპექტორმა შეამოწმა, რეაგირება იყო, თითქოს გაფრთხილებაც მისცეს, მერე რა მოხდა, არ ვიცი. მე მგონი, მეზობლებმა დარეკეს, იმ უბნის ინსპექტორს ხმა ხომ ვიღაცამ მიაწვდინა, არ მგონია, დაზარალებულს ეთქვა, ჩემი ქმარი მჩაგრავსო, – აცხადებს მეზობელი.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა პოლიციელების მხრიდან სამსახურებრივი გულგრილობის შესაძლო ჩადენის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.




ლევან გაჩეჩილაძე პოლიციის განყოფილებაში შემაკავებელი ორდერის გამოწერისთვის იმყოფებოდა.

# ქურდული გარჩევისთვის დაკავებულებს პატიმრობა შეეფარდათ



ქურდული სამყაროს წევრობისა და გარჩევაში მონაწილეობის ბრალდებით დაკავებულ სამ პირს პატიმრობა შეეფარდა.

გადაწყვეტილება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ 17 ივნისს მიიღო.

ადვოკატები ბრალდებულების აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას ითხოვდნენ.

„პირველებმა“ დაკავებულების ვინაობა დაადგინა – ალექსანდრე მელაძე, თეიმურაზ ჩხეიძე და დავით სანდუხაძე.

„პირველების“ ინფორმაციით, კრიმინალურ სამყაროსთან დაახლოებული ეს სამი პირი დავაში წარმოადგენდა ორივე მხარეს. საქმეში კანონიერი ქურდები ბიზნესმენ რიჩარდ ფხაკაძის ინიციატივით გამოჩნდნენ. მან საქმეში ჩართო დავით სანდუხაძე და თეიმურაზ ჩხეიძე. თავის მხრივ, სადავო კაფე-ბარის მფლობელმა გელა ერაძემ დახმარება ალექსანდრე მელაძეს სთხოვა.

# სააპელაციომ მკვლელობის მცდელობისთვის ბრალდებულს 8 წელი მიუსაჯა



თბილისის სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქართველოს პროკურატურის სააპელაციო საჩივარი, გააუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი და განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის დ.მ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 2019 წლის 26 აპრილს, თბილისში, დ.მ.-მ შელაპარაკების ნიადაგზე, განზრახ მოკვლის მიზნით, მის ნაცნობ მ.თ.-ს სხეულის სხვადასხვა არეში მჭრელი საგნით მრავლობითი ჭრილობა მიაყენა, მათ შორის სიცოცხლისთვის საშიში დაზიანება.

დ.მ.-მ დანაშაულის სისრულეში მოყვანა ვერ მოახერხა, რადგან დაზარალებულმა გაქცევა მოახერხა. დროულად გაწეული სამედიცინო დახმარების შედეგად, მისი გადარჩენა მოხერხდა. სამართალდამცველებმა დ.მ. 2019 წლის 27 აპრილს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობის მცდელობა) წარედგინა.

საქალაქო სასამართლომ 2020 წლის 6 იანვრის განაჩენით დ.მ. წარდგენილ ბრალდებაში გაამართლა, რაც ბრალდების მხარემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ დ.მ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# ბათუმის კორპუსში უცხოელი ქალის ცხედარი იპოვეს



17 ივნისს ბათუმში ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში ქალის ცხედარი იპოვეს.

უცხო ქვეყნის მოქალაქე ბინაში მეზობლებმა აღმოაჩინეს.

შემთხვევის ადგილზე სამართალდამცავები იმყოფებიან.

როგორც თვითმხილველები ყვებიან, იგი ბინაში ქირით მარტო ცხოვრობდა და, სავარაუდოდ, მოკლულია.

ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება.

# შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება




შინაგან საქმეთა სამინისტრო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათთან უსაფრთხოების მიზნით განთავსებული რკინის ჯებირების დემონტაჟს იწყებს.

პოლიციის თანამშრომლები გუმათჰესთან და რიონის ხეობაში, უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, კვლავ დარჩებიან და საზოგადოებრივ წესრიგს დაიცავენ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, როგორც მართლწესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი უწყება, მოუწოდებს ნამახვანჰესის მშენებლობის მოწინააღმდეგე მოქალაქეებს, შეკრებისა და გამოხატვის დროს დაიცვან კანონის მოთხოვნები და დაემორჩილონ პოლიციელთა კანონიერ მოთხოვნებს. სამართალდარღვევის ნებისმიერი ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, პოლიცია იმოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად და თითოეულ ასეთ ფაქტზე თანმიმდევრულ რეაგირებას მოახდენს.

# საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლონეთის რესპუბლიკის ეროვნული პოლიციის დელეგაცია ეწვია

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა პოლონეთის რესპუბლიკის ეროვნული პოლიციის დელეგაციას უმასპინძლა, რომელსაც პოლონეთის პოლიციის მთავარი კომენდანტის მოადგილე, გენერალ-მაიორი პაველ დობროჯეი ხელმძღვანელობს. შინაგან საქმეთა მინისტრთან შეხვედრას დელეგაციასთან ერთად ესწრებოდა საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის ელჩი მარიუშ მაშკევიჩი.

შეხვედრაზე პაველ დობროჯეიმ, პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, პოლონეთის რესპუბლიკის ეროვნულ პოლიციასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის წარმატებულ თანამშრომლობაში შეტანილი წვლილისთვის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურს მედალი გადასცა.

მთავარი კომენდანტის მოადგილემ და ელჩმა შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგინეს პოლონეთის მხარის მიერ საქართველოში მოვლინებული პოლიციის პირველი მეკავშირე ოფიცერი რაფალ ვეგილი.

ვახტანგ გომელაურმა ხაზი გაუსვა საქართველოსა და პოლონეთს შორის ისტორიულად მჭიდრო ურთიერთობებს, ასევე, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესისადმი პოლონეთის უპირობო მხარდაჭერას.



შინაგან საქმეთა მინისტრმა განსაკუთრებულად აღნიშნა ორ უწყებას შორის არსებული მაღალი დონის თანამშრომლობა, რომელიც ეფექტიანად ხორციელდება პოლონეთში მივლენილი საქართველოს პოლიციის ატაშეს გიორგი გამსახურდიას უშუალო და აქტიური ჩართულობით.

შეხვედრაზე მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის აქტუალური საკითხები და სამომავლო გეგმები განიხილეს.

# „დაცვამ ქუჩაში გამომაგდო და მერე სექსი შემომთავაზა“

## რა ხდება ბათუმის თავშესაფარში

ბათუმის ღამის თავშესაფარში ადგილი აქვს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას.

თავშესაფრით მოსარგებლე გოგონამ „ტვ პირველს“ უთხრა, რომ ობიექტის დაცვა მის სექსუალურად შევიწროებას ცდილობდა და ღამის გათევის სანაცვლოდ სექსუალურ ურთიერთობას სთხოვდა:

– ერთმანეთს დანებით დასდევენ. შევსწრებივარ, რომ დაცვას ბენეფიციარისთვის დაურტყამს. იყო შემთხვევა, როცა მე და დაცვის თანამშრომელს უთანხმოება გვქონდა, გამომაგდო ქუჩაში და შემდეგ იმ მიზნით შემიშვა, რომ ვიქნებოდი მისი საყვარელი. დაცვის თანამშრომელი ღამის გათევის სანაცვლოდ სექსუალურ ურთიერთობას მთავაზობდა. ამის შესახებ ადმინისტრაცია საქმის კურსში იყო, – აცხადებს თავშესაფრის ბინადარი.

ბათუმის ღამის თავშესაფრის დირექტორი „ტვ პირველთან“ ამბობს, რომ განსაკუთრებული არაფერი ხდება.

– აღნიშნული გოგონა თითქმის ყოველდღიურად აჟღერებს ასეთ ბრალდებებს. მე მას



არაერთხელ შევთავაზე, რომ თუ ნამდვილად ადგილი ჰქონდა მსგავს ფაქტს, მიმართოს პოლიციას. ბენეფიციარების დიდ ნაწილს ფსიქიკური პრობლემები აქვს. ისინი პერიოდულად ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაგვყავს. მოკლევადიანი მკურნალობის შემდეგ ისევ გვიბრუნდებიან, – აცხადებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

სამსართულიან შენობას, რომელიც 40 ბენეფიციარს ემსახურება, მხოლოდ 1 დამლაგებელი ჰყავს და მისი ხელფასი სულ რაღაც 280 ლარია.

# ევროპულმა სასამართლომ დეკანოზ გიორგი მამალაძის სარჩელი განხილვაში მიიღო

ევროპულმა სასამართლომ დეკანოზ გიორგი მამალაძის სარჩელი განხილვაში მიიღო. ამის შესახებ ინფორმაციას დეკანოზის ძმა თორნიკე მამალაძე სოციალურ ქსელში ავრცელებს.



მისივე ინფორმაციით, დაწყებულია კომუნიკაცია.

„ევროპულმა სასამართლომ ჩემი ძმის სარჩელი დააკმაყოფილა და განხილვაში მიიღო. დაწყებულია კომუნიკაცია. იმედი მაქვს, აქ მაინც იზეიმებს სამართალი!“ – წერს თორნიკე მამალაძე.

გიორგი მამალაძე მკვლელობის მომზადების ბრალდებით თბილისის აეროპორტში 2017 წლის 10 თებერვალს დააკავეს. ის სასამართლომ შურისძიების მოტივით ციანიდის გამოყენებით შორენა თეთრუაშვილის მკვლელობის მომზადებაში ცნო დამნაშავედ და 9-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

– საკმაოდ იმედიანადაა უკვე განწყობილი. ეს არის ახალი ეტაპი ამ საქმეში.

ამის შესახებ ადვოკატმა დავით ჯანდიერმა დეკანოზ გიორგი მამალაძესთან დაკავშირებით პენიტენციარული დაწესებულების დატოვების შემდეგ განაცხადა.

გიორგი მამალაძის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჯანდიერის მიერ მომზადებული საჩივრის კომუნიკაცია დაიწყო.

როგორც ჯანდიერი აღნიშნავს, მომჩივანთან დაკავშირებული ფაქტები უკავშირდება კონვენციის მე-6 (საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას) და მე-3 მუხლის (წამების აკრძალვის) სავარაუდო დარღვევას.

– ეს არის ახალი ეტაპი ამ საქმეში, რომელთან დაკავშირებითაც წლების განმავლობაში ცდილობს ის საკუთარი სიმართლის დამტკიცებას. ის თავს კვლავ უდანაშაულოდ მიიჩნევს და, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი ერთადერთი მიზანია სტრასბურთან მიმართებით, რომ დამტკიცდეს, მას ნამდვილად არ ჰქონია ციანიდი და არავის მოკვლას არ გეგმავდა. ეს არის ის მესიჯი, რომელიც მას საზოგადოებისთვის აქვს და რა შედეგსაც უნდა, რომ სტრასბურის სასამართლოში მიაღწიოს.

სტრასბურის სასამართლოს ძირითადი ფოკუსი უკავშირდება საქმის სამართლიანი განხილვის უფლების შესაძლო დარღვევის საკითხს. სასამართლომ პირველადი შესწავლის შედეგად მიიჩნია, რომ ეს პრეტენზიები საფუძვლიანი არის, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ეს ამ ეტაპზე უკვე დადასტურებულია, რადგან შეჯიბრებითობით გამოირჩევა ეს პროცესი, ამიტომ იუსტიციის სამინისტროს საკუთარი არგუმენტები ექნება, თუ რა თქმა უნდა, მხარეთა შორის მორიგება არ მოხდა, რადგან ესეც ერთ-ერთი შესაძლებლობაა პროცედურის, – განაცხადა ჯანდიერმა.

# მებაჟე ოფიცრებმა არადეკლარირებული თანხის შემოტანის მცდელობის ფაქტი გამოავლინეს

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საბაჟო გამშვებ პუნქტ „გუგუთში“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, სომხეთის მოქალაქის ჰ.ს.-ს მართვის ქვეშ არსებული ავტომობილისა და ხელბარგის დათვალიერების შედეგად, ქვეყნის საზღვარზე არადეკლარირებული 20.000 აშშ დოლარისა და 1.000.000 რუსული რუბლის უკანონო შემოტანის მცდელობის ფაქტი აღკვეთეს.

უცხოურ ვალუტაში არსებულმა არადეკლარირებულმა თანხამ ეროვნული ბანკის სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით 103.603 ლარი შეადგინა. საქართველოს საბაჟო კოდექსის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კანონდამრღვევ მოქალაქეს სანქციის სახით ფულადი ჯარიმა 10.360,3 ლარის ოდენობით შეეფარდა.

# გორთან მერსედესი ექიმებით სავსე ჰონდას დაეჯახა

## 3 ექიმი დაშავდა



17 ივნისს ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალის გორი-იგოეთის მონაკვეთზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად სამი ადამიანი დაშავდა. სამივე დაშავებული ექიმია. ექიმები „ჰონდას“ მარკის კერძო ავტომობილით გორიდან წეროვანის მიმართულებით გადაადგილდებოდნენ, როდესაც „მერსედესის“ მარკის ავტომობილი შეეჯახა.

სასწრაფო დახმარების ჯგუფებმა დაშავებული ექიმები სხვადასხვა ხარისხის დაზიანებებით კასპის საავადმყოფოში გადაიყვანეს. კლინიკის ინფორმაციით, სამივე მათგანის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაიწყო.

# ევროკავშირი ბელარუსის წინააღმდეგ ახალ სანქციებზე შეთანხმდა




ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ბელარუსის წინააღმდეგ ახალი სანქციების დაწესებაზე შეთანხმდნენ.

სანქციები, რომლებიც რეინეირის თვითმფრინავის ინციდენტს უკავშირდება, ევროკავშირის ელჩებმა ოთხშაბათს დაამტკიცეს, საგარეო მინისტრები კი მას, სავარაუდოდ, მომავალ კვირაში მიიღებენ.

ახალი სანქციების სამიზნე ბელარუსის საავიაციო სექტორთან დაკავშირებული მინიმუმ 7 პირია.

ევროკავშირის ელჩები ასევე შეთანხმდნენ სანქციების მეოთხე პაკეტზე, რომელიც 70-ზე მეტი პირისთვის აქტივების გაყინვასა და მოგზაურობის აკრძალვის დაწესებას ითვალისწინებს. მათ უმეტესობას ანტისამთავრობო დემონსტრანტებისა და ოპოზიციონერების დარბევის ხელშეწყობაში ადანაშაულებენ.

ბლოკის „შავ სიაში" უკვე შესულია 88 პირი, მათ შორის ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო და მისი ვაჟი. ბელარუსში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ, რომელშიც, ოფიციალური მონაცემებით, ალექსანდრე ლუკაშენკომ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა, ქვეყნის ოპოზიცია და დასავლეთი აცხადებს, რომ „არც თავისუფალი იყო და არც სამართლიანი". ამასთან, ლუკაშენკოს რეჟიმმა საერთაშორისო კრიტიკა 23 მაისს მომხდარი ინციდენტის გამოც დაიმსახურა, როდესაც თვითმფრინავი, რომელიც ათენი-ვილნიუსის რეისს ასრულებდა, მინსკში იძულებით დასვეს და ბორტზე მყოფი ოპოზიციურად მოაზროვნე ჟურნალისტი რომან პროტასევიჩი და მისი მეგობარი გოგონა დააკავეს.

# ტრამპი: „დიდი სცენა რუსეთს დავუთმეთ და თავად არაფერი მიგვიღია"



– ვფიქრობ, კარგი დღე იყო რუსეთისთვის. არა მგონია, რომ ჩვენ რამე მიგვეღო.

ამის შესახებ აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ჯო ბაიდენსა და ვლადიმერ პუტინს შორის გამართული შეხვედრის კომენტირებისას განაცხადა.

ყოფილმა პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ჯო ბაიდენმა „ჩრდილოეთ ნაკადი 2"-ის პროექტის დასრულების თანხმობა გასცა. მისი თქმით, რუსეთი გერმანიისთვის გაზის მიყიდვის შედეგად მნიშვნელოვნად ისარგებლებს.

– ჩვენ ძალიან დიდი სცენა დავუთმეთ რუსეთს და თავად არაფერი მიგვიღია. ჩვენ დავთმეთ ისეთი რამ, რაც დაუჯერებლად ღირებულია. მე შევაჩერე მილსადენი, „ჩრდილოეთ ნაკადი 2", შემდეგ კი ის კვლავ დაუბრუნდა (გერმანიასა და რუსეთს) და ამის სანაცვლოდ არაფერი მიგვიღია, – აღნიშნა ტრამპმა.

# გერმანიის ქალაქში სროლას 2 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა




17 ივნისს გერმანიის ქალაქ ესპელკამპის ცენტრში სროლის შედეგად 2 ადამიანი დაიღუპა და 1 დაშავდა.

დაშავებულის მდგომარეობა მძიმეა. ადგილობრივი სამართალდამცავები აცხადებენ, რომ გამოძიების წინასწარი შედეგების თანახმად, დანაშაული ტერორიზმს არ უკავშირდება.

ეჭვმიტანილმა გაქცევა მოახერხა.

ესპელკამპში 20.000-მდე ადამიანი ცხოვრობს და ის ქალაქ ბილეფილდთან ახლოს მდებარეობს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ნუცა ქილიფთარი ჰოლივუდში მიიწვიეს

ნუცა ქილიფთარი ჰოლივუდის ერთ-ერთ პრესტიჟულ აკადემიაში სასწავლებლად მიიწვიეს. გოგონას, რომელიც თეატრალურ უნივერსიტეტში არ მიიღეს, შანსი გაუჩნდა, ამერიკაში ისწავლოს, მაგრამ მას ფინანსური პრობლემა აქვს:

– მე ნუცა ვარ და ჰოლივუდის ერთ-ერთ პრესტიჟულ აკადემიაში ჩავირიცხე. მინდა, რომ ამ ამბავს გაგრძელება ჰქონდეს და წლების შემდეგ ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულად გაგეცნოთ. ამისთვის კი თქვენი თანადგომის იმედი მაქვს.

მსახიობობა ბავშვობიდან მინდოდა. ტრადიციულად, ოჯახში ამ ამბავს დიდი აღფრთოვანება არ მოჰყოლია. მიუხედავად ამისა, სკოლის დამთავრებისთანავე მოუმზადებლად გამოვცხადდი თეატრალურის გამოცდებზე. დიდი იმედებისა და ბევრი გულშემატკივრობის მიუხედავად, პირველივე ტურიდან გამოვვარდი.

რა მექნა, თსუ-ს უფასო ფაკულტეტზე ჩავაბარე, მაგრამ, გინახავთ მსახიობი, ფილოლოგიის ლექციას მონდომებით ისმენდეს? გარკვეული პერიოდი თავს ვებრძოდი, ვისმენდი, თუმცა დროთა განმავლობაში შინაგანმა პროტესტის გრძნობამ მაიძულა, მიზანს მივყოლოდი და შევუდექი უნივერსიტეტების მოძიებას საზღვარგარეთ.

ძიების პარალელურად, ბევრი რამ ვცადე, მაგრამ იმ გრძნობას, პირველად სცენაზე ფეხის დადგმის დროს რომ ცრემლები დამაღვრევინა, ვერ ვივიწყებდი.

არ დავნებდი, 2 წელი საკუთარ თავზე ვმუშაობდი, რის შემდეგაც გადავწყვიტე, რომ ბედი მეცადა ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ კონსერვატორია-აკადემიაში, სადაც გასაოცარი მსახიობები ჩამოყალიბდნენ.

მონოლოგები მოვამზადე, საბუთები შევიტანე, დახასიათებები მოვაგროვე... მოსამზადებელი გრძელვადიანი პერიოდი გადავლახე და საბოლოოდ დაინიშნა მოსმენა 2021 წლის 3 მაისს.

არ მახსოვს, ასე ოდესმე მენერვიულოს. მოსმენა ონლაინ ჩატარდა, გამოცდილი მსახიობების თანხლებით. ვინაიდან კომენდანტის საათი დაემთხვა, ოჯახის წევრები სახლში იყვნენ. ხელი რომ არავის შეეშალა, აივნიდან შევედი გამოცდაზე. კმაყოფილი დავრჩი, მითხრეს, რომ პასუხს 2-დან 4 კვირის ვადაში უნდა დავლოდებოდი.

ინტუიცია?! მესამე დღეს, დილის 6 საათზე, დღემდე ამოუხსნელი მიზეზით გამეღვიძა. დამხვდა მეილი, რომელიც იწყება სიტყვით „გილოცავთ!" დარწმუნებული ვიყავი, რომ ამხელა სიხარულს გული ვერ გაუძლებდა.

ჩავირიცხე! მომწერეს, რომ იმ ცოტა ადამიანში შევდივარ, რომლებსაც ისინი ეძებენ.

და აი, მიდგა საქმე ფინანსებამდეც. მოვიპოვე ის შესაძლო მაქსიმუმი გრანტი, რომელსაც აკადემია გასცემს, თუმცა სწავლის გასაგრძელებლად უფრო დიდი თანხებია საჭირო.

პირობას ვდებ, წლების შემდეგ საქართველოში დავბრუნდები და მაქსიმალურად დავიხარჯები დაგროვილი ცოდნის ჩვენს ქვეყანაში დასანერგად.

მჯერა, რომ თუ რწმენა გაქვს, ყველაფერს მიაღწევ!

აქვე დავურთეთ ყველა ის საბუთი, რომლებიც ამტკიცებს ჩემს ამ აკადემიაში ჩარიცხვას. მოპოვებულია 8.000 დოლარის გრანტი, კიდევ მჭირდება 32.000 დოლარი და დრო გვაქვს ივლისამდე.

**პ.ს.** ნუცა ქილიფთარის დასახმარებლად საქართველოსა და თიბისის ბანკებში მის სახელზე საბანკო ანგარიშებია გახსნილი.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**


## მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

## მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

## მენტორი შვიდი — სპრეი ტუბი

გრიპის, პლევრიტის, ალერგიისა და გაციებისას ცხვირის არხებიდან გამონადენის შესაჩერებლად შექმნილია ანტიალერგიული სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება „მენტორი 7". დაფასოებულია სპრეი ტუბებში.

მიღების წესი: კარგად გათავისუფლდეს ცხვირის არხები გამონადენისაგან, წამალი შევისხუროთ 2-3-ჯერ დღე-ღამის განმავლობაში. წამლის მიღების შემდეგ უმჯობესდება სუნთქვა, მცირდება და თანდათან წყდება გამონადენი ცხვირიდან.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.




# იტალია ფლეი ოფში გავიდა



**იტალია-შვეიცარია 3:0**

**რომი. ოლიმპიკო**

**1:0, 2:0 ლოკატელი (26, 52), იმობილე (89)**

**იტალია**: დონარუმა, დი ლორენცო, ბონუჩი, კიელინი (აჩერბი 24), სპინაცოლა, ბარელა (კრისტანტე 87), ჟორჟინიო, ლოკატელი (პესინა 86), ბერარდი (ტოლოი 70), იმობილე, ინსინიე (კიეზა 69)

**შვეიცარია**: ზომერი, ელვედი, შერი (ცუბერი 58), აკანჯი, მბაბუ (ვიდმერი 58), ფროილერი (სოუ 84), ჯაკა, როდრიგესი, სეფეროვიჩი (გავრანოვიჩი 46), შაჩირი (ვარგასი 76), ემბოლო

იტალიამ ისევ სანახაობრივი ფეხბურთი აჩვენა და ტურნირზე მეორე მატჩი მოიგო დიდი ანგარიშით ისე, რომ საკუთარ კარში არ გაუშვია. სპეციალისტების აზრით, იტალიამ იმდენად ხმაურიანად დაიწყო, რომ ევროპის ჩემპიონობაზე აქციებმა მოიმატა.

იტალიამ პირველივე წუთებიდან მოუჭირა მარწუხები მეტოქეს და სწრაფი გოლის გატანაც შეძლო, მაგრამ კიელინის ვარმა ხელით თამაში დაუფიქსირა და გოლი გაუუქმა.

თავად კიელინიმ კი ამ მომენტიდან მალევე დატოვა მოედანი – მიზეზი ტრავმაა. ჯერ უცნობია ტრავმის სიმძიმე.

სამაგიეროდ, ტაიმის ეკვატორზე სუფთა გოლი გაიტანეს – დემონიკო ბერრადი შესანიშნავად გაერკვა მარჯვენა ფლანგზე, გვერდი რამდენიმე ფეხბურთელს აუარა და უზადო პასი გაუკეთა ლოკატელის.

იტალია შემდეგაც დიდ უპირატესობას ფლობდა. შვეიცარიას ვერც შეცვლამ უშველა. ტაიმის ბოლოს იმავე ლოკატელიმ ტექნიკური დარტყმით შანსი არ დაუტოვა ზომერს.

სოლიდურად დაწინაურებულმა იტალიელებმა ლიდერები დაასვენეს. თუმცა შეტევები გრძელდებოდა – იმობილეს რამდენიმე შანსი მიეცა, ერთი გოლად აქცია და იტალიის ნაკრები პირველი გუნდი გახდა, რომელმაც ფლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – მანუელ ლოკატელი

დიდებული თამაში ჩაატარა სასუოლოს ფეხბურთელმა. ორჟინიოს წყვილში ცენტრში გაუვალ კედელს ქმნიდა და შეტევაშიც დროულად ერთვებოდა. შედეგად 2 გოლი...

**თურქეთი-უელსი 0:2**

**ბაქო. ოლიმპიური**

**0:1 რამზი (42), 0:2 რობერტსი (90)**

**61-ე წუთზე ბეილიმ ვერ გაიტანა პენალტი (ააცილა)**

**თურქეთი**: ჩაკირი, ჩელიკი, აიჰანი, სოიუნჯუ, უმუთი (მულდური 72), ოკაი (დემირალი 46), ქარამანი (დერვიშოღლუ 74), ჩალჰანოღლუ, თუფანი (იაზიჯი 46), უნდერი (კავეჩი 87), ილმაზი

**უელსი**: უარდი, რობერტსი, მეფჰემი, როდონი, დევისი, მორელი, ალენი (ამპადუ 73), ბეილი, რემზი (უილსონი 85), ჯეიმსი (უილიამსი 94), მური

ევროპის ჩემპიონატამდე ერთი თვით ადრე უმწვრთნელოდ დარჩენილმა უელსის ნაკრებმა მინისენსაცია მოაწყო და ჯგუფიდან გასვლის შანსები ძალიან გაიზარდა.

ჯერ იყო და ვალიელებმა ქულა შვეიცარიელებს აართვეს, შემდეგ კი ბაქოში, ადგილობრივი და თავიანთი გულშემატკივრების თვალწინ თურქეთის ნაკრები დაამარცხეს. ფაქტობრივად, ფლეი ოფში გასვლა გადაწყვეტილი ამბავია, მესამე ადგილითაც კი.

რობერტ პეიჯის შეგირდების თურქებთან გამარჯვება კანონზომიერი იყო. უელსმა ყველა კომპონენტში დაჩაგრა მეტოქე. თურქები ვერ გამოვიდნენ იტალიის ნაკრებისგან მიღებული შოკისგან და კიდევ ერთი უსიამოვნო წაგება იგემეს.

ჩაქირის კართან ჯერ კიდევ პირველ ტაიმში უამრავი მომენტი შეიქმნა, რომელთაგან ერთი აარონ რემზიმ გოლად აქცია. საგოლე პასი კი გარეთ ბეილის იყო.

მე-2 ტაიმში თურქეთი სამი ცენტრალური მცველით ათამაშდა, მაგრამ ამან არ უშველა. უელსმა ბურთი კი დათმო, მაგრამ თამაშის სცენარი არ შეცვლილა. ბეილი და რემზი აგრძელებდნენ მეტოქის დაჩაგვრას. მალე პენალტიც მოიპოვეს, მაგრამ ბეილის დარტყმა ძალიან არაზუსტი აღმოჩნდა.

უელსი ვერც გაცუდებულმა პენალტმა გატეხა და უპირატესობა არ დაუთმიათ. მატჩის ბოლოს კი ისევ ბეილის პასით ამჯერად კონორ რობერტსმა ისარგებლა და საბოლოო შედეგი დააფიქსირა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი**– გარეთ ბეილი

მიუხედავად გაცუდებული პენალტისა, უელ-

**გაგრძელება მე-7 გვერდზე**

# სერხიო რამოსი — „მე დავბრუნდები"



სერხიო რამოსმა რეალიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო. ესპანელი მცველის 16-წლიანი მადრიდული კარიერა დასასრულს მიუახლოვდა. სერხიო თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებს ესპანეთის დედაქალაქს.

აწ უკვე ყოფილი კაპიტანი „სამეფო კლუბს" საჯაროდ დაემშვიდობა. გამოსვლა ძალიან ემოციური იყო და სერხიომ რამდენიმეჯერ ცრემლი ვერ შეიკავა.

**სერხიო რამოსი:**

– ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე მომენტია – იძულებული ვარ, მადრიდის რეალი დავტოვო. ძალიან მინდოდა, დამშვიდობება ჩვენს სტადიონზე, „სანტიაგო ბერნაბეუზე" ყოფილიყო, მაგრამ...

მადლობა რეალს! ეს გუნდი, მისი თითოეული წევრი, მუდამ ჩემს გულში იქნება. მადრიდში გატარებული პერიოდი ჩემს კარიერაში შესანიშნავი და უნიკალური იყო. ვიმედოვნებ, წინ კიდევ არაერთი ტიტული მელის. ახლა კი გეუბნებით ნახვამდის და არა მშვიდობით – მე დავბრუნდები.

სამეფო კლუბმა ანდალუსიელი ფეხბურთელი 2005 წელს 25 მილიონი ევროს სანაცვლოდ გაიფორმა. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში კაპიტნის ანგარიშზე 671 მატჩი, 22 ტიტული, 101 გოლი და 40 საგოლე პასი დაგროვდა. რამოსი ჩატარებული თამაშების რაოდენობით „ბლანკოსის" ისტორიაში მე-4 ადგილს იკავებს. მასზე წინ მხოლოდ რაული, კასილიასი და მანოლო სანჩესი არიან.

სევილიის დატოვების შემდეგ სერხიომ რეალის მაისურით ესპანეთის ჩემპიონატის 469 პაექრობაში მიიღო მონაწილეობა. განვლილი სეზონი მის კარიერაში ერთ-ერთი წარუმატებელი გამოდგა, ვინაიდან, ტრავმების გადამკიდე, მხოლოდ 15-ჯერ გავიდა მოედანზე.

საერთო ჯამში, ქვეყნის პირველობის მასშტაბით, მისი მონაგარი ასეთია: 72 გოლი, 39 პასი, 6 წითელი ბარათი და 5 თასი.

რამოსი ერთ-ერთი საუკეთესო მცველია აღნიშნული ტურნირის ისტორიაში. მან თანაგუნდელებთან ერთად ოთხჯერ მოახერხა ყველაზე პრესტიჟული საკლუბო გათამაშების მოგება. უშუალოდ მის აქტივში 129 მატჩი და 15 გოლია. მათ შორის რამდენიმე ნამდვილად დაუვიწყარი და შთამბეჭდავია რეალის გულშემატკივრებისათვის. ანდალუსიელი ჩემპიონთა ლიგაზე 2-ჯერ გააძევეს მოედნიდან.

„სამეფო თასი" არასდროს ყოფილა ნაყოფიერი ტურნირი „ოთხიანისთვის". 16-წლიანი მადრიდული კარიერის განმავლობაში სულ რაღაც 2 ტიტულს მოითვლის. 48 მატჩში 7-ჯერ გაიტანა და ერთხელ თანაგუნდელსაც გაატანინა. მსაჯებს მისთვის „კოპაზე" წითელი ბარათი არასდროს უჩვენებიათ, მაგრამ 15-ჯერ გააფრთხილეს.

რამოსმა ოთხჯერ მოიგო ესპანეთის სუპერთასი, სადაც ერთმანეთს ლა ლიგისა და სამეფო თასის გამარჯვებულები ხვდებიან. მის აქტივში 15 თამაში, 2 გოლი და 1 პასია.

6 მატჩი, 3 გოლი და 4 ტიტული – ასეთია სევილიელის სტატისტიკა საკლუბო მუნდიალზე.

ჩემპიონთა ლიგისა და ევროპალიგის გამარჯვებულების ჯახში რამოსმა ოთხჯერ იასპარეზა და აქედან სამჯერ გამარჯვებულმა დატოვა სტადიონი. ევროპის სუპერთასზე 2 გოლის გატანაც მოახერხა.

თუმცა, როგორც ჩანს, რეალის ყოფილი კაპიტანი უკლუბოდ დიდხანს არ იქნება. ესპანური მედიის ინფორმაციით, 35 წლის ფეხბურთელის მიმართ ინტერესს მანჩესტერ სიტი იჩენს.

როგორც ირკვევა, რამოსის წარმომადგენლები უშუალო კონტაქტში არიან ინგლისურ კლუბთან, რომელიც ესპანელი მცველისთვის ბრძოლაში ლიდერია. სიტის გარდა, რამოსის გადაბირების შესაძლებლობას მანჩესტერ იუნაიტედი და პარი სენ-ჟერმენიც განიხილავენ.

მანამდე ვრცელდებოდა ხმები, რომ სერხიოს დაბრუნებაზე სევილიაში ფიქრობდნენ, მაგრამ მოგვიანებით ანდალუსიურმა კლუბმა ეს ინფორმაცია უარყო.

# საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ცხელი ზაფხული

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს ცხელი ზაფხული ელის. ლევან მაისაშვილის გუნდი 4 მატჩს გამართავს და აქედან 3 ტიერ 1-ის ქვეყნების წარმომადგენელი იქნება.

26 ივნისს საქართველო 2021 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის დასკვნით მატჩში ნიდერლანდებს თელავში უმასპინძლებს და თასს ოფიციალურად ჩაიბარებს; 2 და 9 ივლისს „ბორჯღალოსნები“ სამხრეთ აფრიკაში მოქმედ მსოფლიო ჩემპიონ „ქურციკებს“ ეთამაშებიან. სამხრეთ აფრიკის ნაკრები 2019 წლის მსოფლიო თასზე გამარჯვების შემდეგ პირველად ითამაშებს; 17 ივლისს „დინამო არენაზე“ შოტლანდიას დავუხვდებით.

ამ თამაშებისთვის „ბორჯღალოსნების“ 37-კაციანი, გაფართოებული შემადგენლობა მოსამზადებლად შეკრებაზე „მარტყოფის“ ბაზაზე შევიდა.

**ლევან მაისაშვილი:**

– მოსამზადებლად ძალიან კარგი პირობებია. რაც მთავარია, კოვიდ-რეგულაციებიდან გამომდინარე, სრულიად იზოლირებული ვართ. 2 კვირას, გარესამყაროსგან მოწყვეტილნი, ჩვენ და ბაზის პერსონალი ერთად გავატარებთ.

შეკრების პირველ კვირაში შემადგენლობა 3 ჯგუფად გვეყოლება გაყოფილი. ძირითადი ბირთვის გარდა, ცალკე ვარჯიშობენ ლიმიტირებული მორაგბეები. ესენი არიან მორაგბეები, რომლებმაც კოვიდი ცოტა ხნის წინ გადაიტანეს ან ასრულებენ ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას. ისინი ცალკე, ფიზმომზადების ჯგუფის დაკვირვების ქვეშ ვარჯიშობენ. ასევეა რისკჯგუფი – ფინალში მოთამაშე მორაგბეები, რომლებიც იზოლირებულად ივარჯიშებენ. კვირაში 3-ჯერ გავიკეთებთ ტესტებს და, როგორც კი ვირუსის გავრცელების რისკი გამოირიცხება, გუნდის საერთო სქემასა და მონახაზზე დავიწყებთ მუშაობას.



გუნდის სრულად შეკრება ნიდერლანდებთან თამაშის კვირამდე ვერ მოხერხდება. ამ ერთ კვირას გამოვიყენებთ უნარების გასაუმჯობესებლად და სათამაშო სქემის მცირე დეტალებზე ვიმუშავებთ.

ნიდერლანდებთან მატჩისთვის გაფართოებული რაზმი 33 მორაგბემდე შემცირდება. მწვრთნელი ჯერჯერობით აკვირდება.

– ზაფხულის ტურნეს სიმძიმიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, არსებული რესურსით მაქსიმალურად ძლიერი შემადგენლობა შევარჩიეთ. სამწუხაროდ, ტრავმირებულები გვაკლია. გარდა ამისა, ტოპ 14-სა (ერთი ეტაპი) და პრო დ 2-ში ფლეი ოფები ახლა დასრულდა და ამ გუნდის მოთამაშეები ჯერ არ ჩამოსულან. რასინგი ნახევარფინალშია და გურამ გოგიჩაშვილი გუნდთან ერთადაა, მოგვიანებით დაგვემატება ბექა გიგაშვილი, რომელსაც მცირე ჯანმრთელობის პრობლემა აქვს. შეკრება ადრე უნდა დაგვეწყო, მაგრამ დიდი 10-ის ფინალმა გადაიწია და იმ კლუბების მოთამაშეები გვიან შემოგვიერთდნენ.

მაისაშვილის გაფართოებულ რაზმში 7 დებიუტანტია – მიხეილ ორაგველიძე, ლუკა ნიორაძე, ლუკა ჯაფარიძე, მიხეილ ბაბუნაშვილი, ილია სპანდერაშვილი, ოთარ ლაშხი და დავით მესხი.

მწვრთნელი ფიქრობს, რომ ეს კონკურენციას აამაღლებს და სიღრმეებს გაზრდის:

– გამომდინარე იქიდან, რომ გიგაშვილი და გოგიჩაშვილი გვიან ჩამოდიან, პირველი ნომრის დაკლების რისკი გვქონდა. საჭირო იყო დაზღვევა და მსჯელობის შემდეგ არჩევანი ორაგველიძეზე შევაჩერეთ, რომელიც ძლიერია სტატიკაში. პირველ ხაზში ასევე გვყავს ბურჯი ლუკა ჯაფარიძე და კვაჭი ლუკა ნიორაძე. ჯაფარიძე იმ ბურჯთაგანია, რომელსაც ტოპ 14-ში დიდი სათამაშო დრო ჰქონდა და მას ყურადღებით ვაკვირდებოდით. ადრე 3-დღიან შეკრებაზე საფრანგეთში გვყავდა. კარგია სტატიკასა და საინტერესო შეტევაში. პრო დე 2-ში საკუთარ პოზიციაზე საკმარისი სათამაშო დრო ჰქონდა ახალგაზრდა ნიორაძესა და მას შეკრებაზე დავაკვირდებით.

მეორე და მესამე ხაზში ბაბუნაშვილსა და სპანდერაშვილს ვნახავთ. მათ 20-წლამდელთა ნაკრებიდან ვიცნობთ. სპანდერაშვილმა რუსეთის ჩემპიონატი მაღალ დონეზე ჩაატარა, ასევე გვყავდა რეზერვად კალინინგრადში გამართულ შეხვედრაში. ლაშხი გაფართოებულ შეკრებაზე აქამდეც გვყავდა. ამ პოზიციისთვის საჭირო უნარებსა და იქსფაქტორს ფლობს. წელს რუსეთში კარგი სეზონი ჰქონდა და ტრავმის შემდეგ ფლეი ოფებსა და ფინალში ბრწყინვალედ ითამაშა მესხმა. დათო ძალიან სწრაფია, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია.

გამოძახებულთა შორისაა ნიკა ხატიაშვილი, რომელსაც „ბორჯღალოსნების“ კვართით ბოლოს 2017 წელს უთამაშია. გუნდს დაუბრუნდა გიორგი ცუცქირიძე, რომელაც 2020 წლის თებერვალში ტრავმა მიიღო და მას მერე რეაბილიტაციას გადიოდა.

ტრავმების გამო გუნდს ზაფხულში დააკლდებიან მიხეილ ნარიაშვილი, ნიკა აბულაძე, ლუკა აზარიაშვილი, გიორგი ნუცუბიძე, ლაშა ჯაიანი, გრიგოლ ქერდიყოშვილი, ოთარ გიორგაძე, ბექა გორგაძე, ლაშა ლომიძე და სოსო მათიაშვილი. უკანასკნელ წამს ნაკრებს გამოაკლდა გიორგი თხილაიშვილიც, რომელმაც დიდი 10-ის ფინალში მენისკი დაიზიანა. ოჯახური მდგომარეობის გამო შეკრებაზე არ არის თაზო მჭედლიძე.

საბოლოოდ მაისაშვილმა არჩევანი ამ მორაგბეებზე შეაჩერა:

**შერკინება:** ბექა გიგაშვილი, გურამ გოგიჩაშვილი, ნიკოლოზ ხატიაშვილი, მიხეილ ორაგველიძე, ჯაბა ბრეგვაძე, შალვა მამუკაშვილი, გიორგი ჭყოიძე, ლუკა ნიორაძე, გიორგი მელიქიძე, ლუკა ჯაფარიძე, გია ხარაიშვილი, კოტე მიქაუტაძე, ნოდარ ჭეიშვილი, დავით გიგაური, გიორგი ჯავახია, მიხეილ ბაბუნაშვილი, ბექა სალინაძე, თორნიკე ჯალაღონია, მიხეილ გაჩეჩილაძე, გიორგი ცუცქირიძე, ირაკლი ცხადაძე, ილია სპანდერაშვილი;

**უკანა ხაზი:** ვასილ ლობჟანიძე, გელა აფრასიძე, მიხეილ ალანია, თედო აბჟანდაძე, გიორგი ბაბუნაშვილი, მერაბ შარიქაძე, გიორგი კვესელაძე, დემურ თაფლაძე, ოთარ ლაშხი, სანდრო თოდუა, აკაკი ტაბუცაძე, მირიან მოდებაძე, დავით მესხი, დავით ნინიაშვილი, ლაშა ხმალაძე.

# იტალია ფლეი ოფში გავიდა

დასაწყისი მე-6 გვერდზე

სელთა კაპიტანმა შესანიშნავი მატჩი ჩაატარა. 2 საგოლე პასის გარდა, უამრავი მომენტი შეუქმნა თანაგუნდელებს. პენალტიც თავად მოიპოვა...

**რუსეთი-ფინეთი 1:0**

__სანქტ-პეტერბურგი. სანქტ-პეტერბურგ არენა__

__1:0 მირანჩუკი (45)__

**ფინეთი:** ჰრადეცკი, ტოივიო (იენსენი 85), არაიური, ოშენესი, რაიტალა (სოირი 67), შულერი (კაუკო 67), ლოდი, კამარა, ურონენი, პოჰიანპალო, პუკი (ლაპალაინენი 75)

**რუსეთი:** საფონოვი, ფერნანდეში (კარავაევი 26) , დივეევი, ჯიქია, კუზიაევი, ზობნინი, ბარინოვი, ოზდოევი (ჟემალეტდინოვი 61), ალ.მირანჩუკი (მუხინი 85), ძიუბა (სობოლიოვი 85), გოლოვინი

ფინეთის ნაკრები ქულითაც კი ფლეი ოფში გასვლის უდიდეს შანსს დაიტოვებდა, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის დებიუტანტებმა ეს ვერ მოახერხეს და ახლა პირიქით – უფრო რთულ სიტუაციაში ამოყვეს თავი.

არადა, თამაშის დასაწყისში პოჰიანპალოს გატანილი ბურთი მსაჯს რომ ჩაეთვალა, არავინ იცის, მატჩი რა შედეგით დასრულდებოდა.

რუსებმა კი ძალიან მნიშვნელოვანი ქულები მოიპოვეს, მაგრამ თავს დამშვიდებულად ვერ იგრძნობენ, რადგან ბოლო ტურში დანიას ეთამაშებიან და, წაგების შემთხვევაში, შესაძლოა, ბოლო ადგილზეც დარჩნენ.

მატჩში ერთადერთი გოლი ალექსანდრე მირანჩუკმა გაიტანა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ალექსანდრე მირანჩუკი

მირანჩუკს რუსეთის ნაკრებში დიდი სათამაშო დრო არ ეძლეოდა. ფინელებთან კი ჩერჩესოვმა ძირითად შემადგენლობაში დააყენა და გაუმართლა კიდეც – მატჩის ერთადერთი გოლი სწორედ მირანჩუკის ანგარიშზეა.


## სახალხო მკურნალ __ლამარა თოდუას__ „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**


**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# კახა ცხადაძე: „ჩემპიონთა ლიგაში დიდი ამოცანები და ამბიციები გვაქვს“



უეფას ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ერთმანეთს საქართველოსა და აზერბაიჯანის ყველაზე ტიტულიანი გუნდები, თბილისის დინამო და ბაქოს ნეფთჩი ეთამაშებიან.

ქართული ფეხბურთის ფლაგმანის თავკაცი კახა ცხადაძე დიდი ხანი მუშაობდა აზერბაიჯანში. ცხადია, ჩვენებური იქაური ჟურნალისტების ყურადღების ქვეშ მოექცა.

***– როგორ შეაფასებთ წილისყრას?***

– ჩემთვის სასიამოვნო იქნება, კვლავ ჩამოვიდე აზერბაიჯანში. 7 წელიწადზე მეტი ვიმუშავე ამ ქვეყანაში. მიყვარს ბაქო და ზოგადად აზერბაიჯანი. არასოდეს დამავიწყდება ამ ქვეყანაში გატარებული დრო. თუნდაც თანამეგობრობის თასის მოგება და რა თბილად მიგვიღო ქვეყნის პრეზიდენტმა ილხამ ალიევმა. ბაქო ჩემთვის მშობლიური ქალაქივითაა. ჩვენ ვაფასებთ აზერბაიჯანელ ხალხს. რაც შეეხება მეტოქეს, ნეფთჩი ისეთივე ბრენდია აზერბაიჯანში, როგორიც დინამო – საქართველოში. ეს არის კლუბი დიდი ისტორიით! ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მზად შევხვდეთ ამ თამაშებს. ჩემპიონთა ლიგაში დიდი ამოცანები და ამბიციები გვაქვს. გვინდა, მაქსიმალურად კარგად გამოვიდეთ.

***– გინდოდათ აზერბაიჯანის ჩემპიონთან შეხვედრა?***

– ახლა ნუ ვილაპარაკებთ, რა გვინდოდა და რა – არა. ჩვენ ვაფასებთ ნეფთჩის. ის ისეთივე სერიოზული მეტოქეა, როგორიც – ყარაბახი.

***– ამ მომენტისათვის აზერბაიჯანის ჩემპიონის შესახებ რა იცით?***

– ვიცით, რომ მას შემდეგ, რაც სამირ აბასოვი დაინიშნა მთავარ მწვრთნელად, გუნდმა მოგება დაიწყო და ყარაბაღთან კონკურენცია გააძლიერა. „ოქროს მატჩში“ მოუგეს კიდეც.

***– საქართველოში სეზონი მიმდინარეობს. ეს ნიშნავს, რომ დინამოს მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს?***

– გარკვეულწილად, კარგია, რომ გუნდი რიტმშია. ჩვენ ვატარებთ ოფიციალურ შეხვედრებს, კონკურენციაში ვართ ბათუმის დინამოსთან. ჩვენთვის ყველა მატჩი ფინალის ტოლფასია. ასეთი თამაშების ჩატარება უკეთესია, ვიდრე – ამხანაგურის. მეორე მხრივ, ბოლო 2 თვის განმავლობაში თბილისის დინამომ 12 მატჩი ჩაატარა და ეს დამღლელია. ნეფთჩისთან მატჩის წინ უნდა ვიფიქროთ, როგორ შევხვდეთ ამ მატჩებს საუკეთესო ფიზიკურ ფორმაში.

***– როგორია შანსები თქვენს ყოფილ შეგირდთან, სამირ აბასოვთან დაპირისპირებაში? ალბათ, მან უკეთ იცის თქვენი სამწვრთნელო თავისებურებები, ვიდრე თქვენ – მისი. ეს უკვე ნეფთჩის უპირატესობაა?***

– ამაზე კომენტარს არ გავაკეთებ. ჩვენ შევეცდებით, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოვაგროვოთ მეტოქეზე. შანსებზე არ ვილაპარაკებ. ყველაფერი 2 შეხვედრაში გადაწყდება.

***– პირველი თამაში თბილისში გაიმართება. ეს თქვენი გუნდისთვის კარგია თუ ცუდი?***

– ითვლება, რომ პირველი შეხვედრის ჩატარება სტუმრად ჯობია. გააჩნია, როგორ მიიღებ ამას. მთავარი ის კი არ არის, სად იწყებ, მთავარია, ვინ გადის შემდეგ ეტაპზე.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მოძღვრება ხეხილის ჯიშების შესახებ; 2. მდინარე ნიუ იორკში; 3. რძეში მოზელილი, კვერცხწასმული და თონეში გამომცხვარი პური; 4. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი; 11. მონასტერი ხულოს რაიონში; 12. ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი ბრიტანელი მსახიობი მამაკაცი; 14. ემილ ზოლას რომანი; 16. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 17. სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი დისციპლინა; 19. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 21. ფრანგი მათემატიკოსი, მხაზველობითი გეომეტრიის ფუძემდებელი; 22. ზღვისპირა კურორტი ბულგარეთში.

**თარაზულად:** 6. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი; 7. უქონელი, ღატაკი ადამიანის ძველებური სახელწოდება ევროპაში; 8. შაქრიანი ცხელი წყლით შეზავებული რომი ან ვისკი; 9. კიევის მერი; 10. არეულობა, უწესრიგობა; 13. ხელოვნური წყალსაცავი თიანეთის რაიონში; 15. მსოფლიოში ყველაზე დიდი კუნძული; 18. რიგითი მეზღვაური; 20. რევაზ ლაღიძის ოპერა; 21. ფულის ერთეული აზერბაიჯანში; 23. კერძო დეტექტივების მეტსახელი აშშ-ში; 24. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჟოლო; 2. ვერდი; 3. ირისი; 4. ნესვი; 5. შულერი; 6. რიტორიკა; 8. ინფანტერია; 10. მელანქოლია; 11. ჩახრუხაძე; 14. ფატუმი; 15. ოკრიბა; 16. პუნში.

**თარაზულად:** 1. ჟინვალი; 4. ნიშადური; 7. ლუვრი; 9. გიუმი; 12. ჩითილი; 13. უფიცა; 14. ფეიხოა; 17. მეტეხი; 18. კალიმანტანი; 19. მაკბეტი; 20. მარიცა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. იზოლატორი; 2. ცანგალა; 3. კაკადუ; 4. გენკი; 5. სტრიპი; 11. ბრონტე; 12. ფრახტი; 14. ჯემი; 16. ენოთეკა; 17. კოლხეთი; 19. კოროზია; 21. მასნე; 22. ტაქსა.

**თარაზულად:** 6. ეზუგბაია; 7. ოცელოტი; 8. კუკია; 9. კაბურა; 10. დერბი; 13. ბრიჯი; 15. დენონსაცია; 18. სელტიკი; 20. ოშკი; 21. მოპედი; 23. ბარმაქსიზი; 24. თოხანი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


18 ივნისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1657

ევრო — 3.8356

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.4674

100 რუსული რუბლი — 4.3968

## ამინდის პროგნოზი 18 ივნისისათვის




## მბაპეს რეალში თამაში სურს

მადრიდის რეალი მზად არის კილიან მბაპეს ტრანსფერის განსახორციელებლად და, როგორც ჩანს, ამ ტრანსფერს წინ არაფერი დაუდგება. მბაპეს სურს რეალში თამაში და ამის დასტური ის არის, რომ ის პსჟ-სთან ახალ კონტრაქტს არ აფორმებს. გარდა ამისა, მბაპე მზად არის, ხელფასის შემცირებაზეც დასთანხმდეს, თუ რეალი ვერ შეძლებს მისთვის ისეთი ანაზღაურების მიცემას, როგორიც პსჟ-ში აქვს.



სავარაუდოდ, მბაპე რეალს აგვისტოში შეუერთდება.

## ვიქტორ ვალდესი ბარსელონაში დაბრუნდა

ვიქტორ ვალდესი ბარსელონაში დაბრუნდა და სარეზერვო გუნდის მეკარეების მწვრთნელი იქნება. ამის შესახებ ინფორმაცია ესპანურ პრესაში ვრცელდება.



ვალდესი 39 წლის არის და კარიერა რამდენიმე წლის წინ დაასრულა. ის ბარსელონის ღირსებას 12 წლის განმავლობაში იცავდა და გუნდის ერთ-ერთ ლეგენდად ითვლება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## დამნაშავემ პოლიციელს ორი თვის ბავშვი ესროლა და გაიქცა

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ გიფორდში ეჭვმიტანილმა ხანგრძლივი დევნის შემდეგ პოლიციელს ორი თვის ბავშვი ესროლა.



32 წლის ჯონ ჰენრი ჯეიმს III-მ საგზაო მოძრაობის წესები დაარღვია და პოლიციელების მოთხოვნას გაჩერებულიყო, არ დაემორჩილა. სამართალდამცავები ეჭვმიტანილს გაეკიდნენ და მისი დაკავება 40 წუთის დევნის შემდეგ მოახერხეს.

მას შემდეგ, რაც დამნაშავე შეაჩერეს, მან პოლიციის თანამშრომელს ორი მეტრის მანძილიდან ორი თვის ჩვილი ესროლა. პოლიციელმა რეაგირება და ბავშვის დაჭერა მოასწრო, ხოლო დამნაშავე გაიქცა.

— ჩემს კარიერაში უამრავ სიგიჟეს გადავეყარე, მაგრამ ეს ქმედება ყოველგვარ ზღვარს სცილდება, — განაცხადა შერიფის თანაშემწე ჯეიკობ კერბიმ, რომელმაც გადმოგდებული ჩვილი დაიჭირა, — ჯეიმსი უბრალოდ მკვეთრად შემოტრიალდა და ბავშვი მესროლა.

დაკავების დროს დამნაშავე დიდხანს უწევდა წინააღმდეგობას პოლიციელებს. შერიფის თქმით, ის პოლიციის თანამშრომლებს კბენდა და მუჯლუგუნებს ურტყამდა მანამდე, სანამ მას სამსახურებრივ მანქანაში ჩასვამდნენ.

ბავშვების მიმართ სასტიკ მოპყრობაზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის გარდა, ჯეიმსს ასევე წარედგინა დაკავების დროს ძალის გამოყენებით წინააღმდეგობის გაწევის და საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის ბრალდება.

პოლიციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ბავშვის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

მამაკაცი ფსიქიატრს უყვება:

— ექიმო, ყოველ ღამეს ერთსა და იმავე საშინელ სიზმარს ვხედავ: ჩემი სიდედრი ნიანგს ასეირნებს. აბა წარმოიდგინეთ ის დაკრეჭილი კბილები, მოჭუტული თვალები, ბოროტებით აღვსილი გამოხედვა, ეს ცივი, ხორკლიანი კანი!!!

— ჰოო, მართლაც, ძალიან საშინელი იქნება...

— დამაცადეთ, ექიმო, მე ხომ ჯერ ნიანგზე არაფერი მითქვამს!...

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

— ვიცი, რომ მთელი ერთი საათი მეძავთან იყავი...

— რა მერე?

— მერე ის, რომ მაინტერესებს, რას აკეთებდი მთელი 57 წუთი?!

●●●

მამამ ბავშვს საბავშვო ბაღში მიაკითხა წამოსაყვანად და ხედავს, რომ მის გოგონას ცალი თვალი ჩალურჯებული აქვს, ხოლო შორიახლო მდგომ ბიჭს — ორივე თვალი.

მამა შვილს ეკითხება:

— თვალი რატომ გაქვს ჩალურჯებული?

— გიგისთან ვიჩხუბე.

— რატომ?

— ცოლად არ მოვყავდი!

●●●

ქალს ეკითხებიან:

— კორონავირუსის არ გეშინიათ?

— არა.

— რატომ?

— კრედიტი მაქვს და...

●●●

შვილი მამას ეკითხება:

— მამიკო, დედიკო რისთვის გჭირდება?

— რისთვის? რისთვის და იმისთვის, რომ ეს ცხოვრება თაფლით სავსე კასრი არ მეგონოს!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## დემნა გვასალია იტალიაში ქარხანას გახსნის

დიზაინერი დემნა გვასალია წელს იტალიაში ქარხანას გახსნის და კიდევ 300 ადამიანს მისცემს დასაქმების საშუალებას.



ქარხანაში ბრენდის ტყავის კოლექციები და აქსესუარები შეიქმნება. წამოწყება 300 ახალ სამსახურს შექმნის. ბალენსიაგას მშობელმა კომპანიამ, ქერინგმა, ჯერ კიდევ ოქტომბერში განაცხადა, რომ კოვიდის პანდემიის მიუხედავად, 2020 წელს ბალენსიაგა ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი ბრენდი გახლდათ. ახალი ქარხანა ბრენდს შესაძლებლობას მისცემს, მომხმარებლის მოთხოვნა დააკმაყოფილოს.

5 წლის განმავლობაში დემნა გვასალიას ხელმძღვანელობით ბალენსიაგამ 71 მაღაზია გახსნა, მათ შორის პირველი თურქეთის ტერიტორიაზე, 8 — ამერიკის შეერთებულ შტატებში და ერთი — ლონდონის ყველაზე პრესტიჟულ ბიზნესქუჩაზე, ბონდ-სთრითზე.

უცხოელი ჟურნალისტის შეკითხვაზე: — **შენ, მოდის ოსკარის მფლობელს, არ გეშინია, რომ ხალხი გადაგიყვარებს?**

დემნამ უპასუხა:

— არა, რადგან წარსულში დიდი სიყვარული არასდროს მიგრძნია, არც ჩემი საქმიანობისა და არც ჩემ მიმართ. ყოველთვის მტრულად მიღებდნენ. ამიტომ ვცხოვრობ შვეიცარიაში, ნეიტრალურ ზონაში, ემოციების მხრივაც კი.

***— მარტო დარჩენა ან ძვირფასი ადამიანის დაკარგვა არ გაშინებს?***

— საშიშია, მაგრამ ცხოვრება ასეთია. მე ბევრი ადამიანი დავკარგე და არა იმიტომ, რომ გარდაიცვალნენ. მათ დატოვეს ჩემი ცხოვრება, სხვათა შორის, ბევრმა მხოლოდ იმიტომ დამკარგა, რომ სმა შევწყვიტე. ახალგაზრდობაში, როდესაც ანტვერპენში ვცხოვრობდი, იყო მომენტები, როდესაც ვირჩევდი, საჭმელი მეყიდა თუ ღვინო. პირად ცხოვრებაში ძალიან ბევრი პრობლემა მქონდა, ოჯახში პრობლემები მქონდა. მეფიქრებოდა, რომ ყველამ დამტოვა, არავის ვუყვარვარ. ვიჯექი, ვტიროდი და ვსვამდი. მაგრამ შემდეგ ემოციების კონტროლს სწავლობ. ალკოჰოლის გარეშე ამას უკეთ აკეთებ. დღეს უკვე ძალიან ფოკუსირებული ვარ.

***— მაგრამ ხვდები, რომ განსაკუთრებულ მდგომარეობაში ხარ, სამყარომ შენთვის გამორჩეული გარემოებები შექმნა.***

— რა თქმა უნდა. მე არაფრიდან მოვდივარ. ბიჭი ვარ საქართველოდან, დევნილი, მაგრამ მე მსხვერპლი არ ვარ. ყველაფერმა უფრო ძლიერი, გავლენიანი და ღრმა გამხადა. ეს საქმეშიც მეხმარება.

## წიგნი მარო თარხნიშვილზე გამოცემულია




ცნობილი ქართველი მომღერლის მარო თარხნიშვილის 130 წლის იუბილესთან დაკავშირებით ფონდმა „ქართულმა გალობამ“ სპეციალური წიგნი გამოსცა.

კრებულის წარდგინება მწერალთა სახლის ღია სივრცეში გაიმართა. „მარო თარხნიშვილი -130“ — ასე ჰქვია წიგნს, რომლის შექმნაზეც ფონდ „ქართულ გალობასთან“ ერთად საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმაც იმუშავა.

მწერალთა სახლში გამართულ საღამოზე შესრულდა ქართული ხალხური სიმღერები, აჟღერდა კომპოზიტორ მარიკო კვალიაშვილის საავტორო ნაწარმოებები.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: ანსამბლები „ბასიანი“, „შილდა“, გალობის უნივერსიტეტის გუნდი, ეკა მამალაძე, გიორგი მეფისაშვილი, აჩიკო ბერიძე, ანსამბლი „ქართველები“, თინა მეითოვა, ნათია ქოროღლიშვილი.



## ქეთა თოფურია საქართველოში ჩამოვიდა

„ა სტუდიოს“ ქართველი სოლისტი ქეთა თოფურია საქართველოში ჩამოვიდა. მან წყნეთში შვილს — ოლივიას — დაბადების დღე გადაუხადა და უახლოესი ადამიანები მიიწვია.

ქეთას შვილის დაბადების დღეზე ქართული ესტრადის ვარსკვლავები თავიანთი შვილებით შეიკრიბნენ და ზღაპრის გმირებთან ერთად ღია ცის ქვეშ კარგად გაერთნენ.

## მუსიკოსი ოთარ ჩუბინიშვილი 80 წლისაა



სულხან ცინცაძის სახელობის სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის უცვლელი წევრი, შოთა რუსთაველისა და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ხელოვნების ქურუმი, კონსერვატორიის პროფესორი, ბრწყინვალე ჩელისტი და პედაგოგი ოთარ ჩუბინიშვილი 80 წლისაა. საიუბილეო თარიღს, პანდემიიდან გამომდინარე, ხელოვანი მოკრძალებულად აღნიშნავს.

**თათა ლიჩელი, პიანისტი:**

— არასდროს მეყოფა სიტყვები, გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება და სიყვარული ამ ადამიანის მიმართ.

მან გამაგებინა კამერული მუსიკის არსი მთელი თავისი სიღრმით. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის აღვიქვამდი მასთან გატარებული ყველა წუთის, ყველა რეპეტიციისა და კონცერტის ბედნიერებას, მაინც, ახლა, წლების მერე, ალბათ უფრო ვხვდები იმ საოცარი, არნახული მუსიკალური თვისებების ფასს, რასაც ასე თავდადებით, მთელი თავისი არსებით გასცემს ყოველთვის და ყველასთვის!

გარდა ამისა, ჩემი ცხოვრების არაერთ გადამწყვეტ და ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში ის პირველი იდგა ჩემ გვერდით!

დიდი მადლიერებითა და სიყვარულით ვულოცავ დაბადების დღეს ჩემთვის განსაკუთრებულად ძვირფას ბატონ ოთარს!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 18 ივნისისათვის

**ვერძი** — სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. თქვენს საქმეებში უცხო პირების ჩარევა რეკომენდებული არ არის. **კურო** — ცრუ ილუზიებს ნუ აჰყვებით. იფრთხილეთ, არავინ მოგატყუოთ. ემოციები აკონტროლეთ. **ტყუპები** — იზრდება სულიერი, შემოქმედებითი და სექსუალური რესურსები. დღის პირველ ნახევარში სერიოზულ პროვოკაციებს ელოდეთ. **კირჩხიბი** — მოულოდნელად ძალზე სასიამოვნო ინფორმაციას მიიღებთ. ერიდეთ კამათში ჩართვას. **ლომი** — დაიცავით ბალანსი სიძუნწესა და გულუხვობას შორის. ნებისმიერი შეხვედრა სხვა დროისათვის გადადეთ. **ქალწული** — შემოქმედებითი პერსპექტივები მზარდია. შესაძლოა, არასტანდარტულ სიტუაციაში აღმოჩნდეთ. **სასწორი** — საოჯახო საქმეების მოგვარება დაგეგლით. დრო სწორად გაანაწილეთ. მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. **ღრიანკალი** — შესაძლოა, ხელსაყრელი შემოთავაზება მიიღოთ. დათანხმდით დაუფიქრებლად. **მშვილდოსანი** — სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. დაისვენეთ, ივარჯიშეთ, ისეირნეთ სუფთა ჰაერზე. **თხის რქა** — დღის პირველი ნახევარი დაძაბულია. ახალი ინფორმაცია აგაფორიაქებთ. ოჯახის წევრებს უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. **მერწყული** — ფინანსური ოპერაციების დროს იფრთხილეთ. ფასეულობების გადაფასების დროა. **თევზები** — დადებითი ტენდენციები არ დააყოვნებს. ბედი გწყალობთ. ნებისმიერი საქმე მშვენივრად გამოგივათ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მარცვლეულის შესანახი ხის ნაგებობა დასავლეთ საქართველოში; 2. მონასტერი საჩხერის რაიონში; 3. ფულის ერთეული ჩინეთში; 4. ქიმიური ელემენტი, ლითონი; 5. დაღესტნელთა ძველი სახელწოდება საქართველოში; 6. მინერალი, ტყვიის შემცველი მადანი; 8. ლეჩხუმში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 10. ყოველივე უცხოურის სიყვარული; 11. ძველი გერმანული ტომი, რომლებიც არბევდნენ ევროპის ქვეყნებს; 14. ნარკოტიკების წვრილმანი გამსაღებელი აშშ-ში; 15. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 16. ოქროს ვარაყის ძველი ქართული სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. ცივი საბრძოლო იარაღი; 4. გორგოლაჭებიანი კონვეიერი; 7. ქართველი კარიკატურისტი მხატვარი; 9. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 12. მქრქალი ცისფერი ძვირფასი ქვა; 13. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 14. ინგლისის ტახტის მემკვიდრის ტიტული; 17. ცეცხლსასროლი იარაღის ბელგიელი კონსტრუქტორი; 18. სხვისი რწმენის, აზრების შემწყნარებლობა; 19. დაბალი ხმით სიცილი; 20. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

